# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 5 აპრილი 2002 №59 (1581) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტრო ჩვენ რას დაგვაკლებს ...



ქართველებს უყვართ მიბაძვა. შარშანდელი, ერთი ვერსიით „ხავერდოვანი რევოლუციისას", საქართველოს პრეზიდენტმა ყველა მინისტრი კარში გაყარა და მერე თითქმის ყველას უკანვე უხმო. ფანდმა გაჭრა: რუსთაველის პროსპექტზე მოძრაობა განახლდა, ხოლო მეთოდი დაიმახსოვრეს. დავით პეტრიაშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა რომ ისურვა და მერაბ ჟორდანიას ცივი შხაპი ასხურა, ფედერაციის მოქმედმა პრეზიდენტმა მთლად პირველი პრეზიდენტის ქმედება გაიმეორა: დაითხოვა მთელი ფედერაცია პეტრიაშვილიანად და დაიბრუნა უპეტრიაშვილოდ.

ჟორდანიას აშფოთებს ახალი კონკურენტი და საარჩევნო მობილიზაცია უკვე გამოაცხადა. მის გვერდით კვლავ ვხედავთ ალექსანდრე ჩივაძეს რეანიმირებული ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით და ნაკრები? ხომ არ დაზარალდება ეროვნული ნაკრების ინტერესები მწვრთნელის შრომის გაორებით?

ხოლო ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშს მორიგი ყადაღა დაადეს, ჩვეულებრივ ამბად იქცა. ეგ კი არა, გუშინ ყადაღა დაადეს ყველაფერს, რაზეც ფედერაციის ლოგოა გამოსახული. საქმე ისაა, რომ მხატვარი ემირ ბურჯანაძე უჩივის ქართული ფეხბურთის ჩინოსნებს, ჩემი შრომის პროდუქტი რად დაამახინჯეთ, უკანონოდ რად გამოიყენეთო და მრგვალზე მრგვალ ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვს. მოკლედ, მონასტერი ერთხელაც არევეს ინყებს.



ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 6 აპრილი. 15 საათი

## საქართველო – რუმინეთი





ლევან ცაბაძე თანაგუნდელებით და რუმინელები მატჩამდე ტოლ-სწორად ამაყნი არიან

# რუმინელები ხმამაღლა ჩამოვიდნენ

## პატარა ნაპოლეონით და ფრიდრიხ ნიცშეთი

## კლოდ სორელი VS ზერნარ შარეირი

## არც ერთია ქართველი, არც მეორე რუმინელი: ორივე ბეზილია, მეზობელია, მეგობარია

# ამოროზომ მილანი ნიძლავში მოიგო

UEFA CUP

უეფას თასის ნახევარფინალების წინა დღეს დორტმუნდელ მარსიო ამოროზოს ძველი ძმაკაცისთვის, რონალდოსთვის დაურეკავს და ნიძლავი შეუთავაზებია: „დორტმუნდი" ამარცხებს „მილანს", „ინტერი" კი „ფეიენოორდს", ხოლო ფინალში გამარჯვება „დორტმუნდს" დარჩებაო. რონალდოს ნიძლავი მიუღია.

გუშინ ამ თითქოსდა სახუმარო ნიძლავს სრულიად სერიოზული გაგრძელება მოჰყვა — მარსიო ამოროზომ კახა კალაძის „მილანს" 39 წუთში ჰეთ თრიქი შეუსრულა, იორგ ჰაინრიხმა მეოთხეც მიაყოლა, რითაც ნიძლავის ერთი პირობა ფაქტობრივად შესრულდა, „მილანი" თუ საპასუხო მატჩში ხუთ გოლს გაიტანს.

მაგრამ ნიძლავის მოგების შანსი არც რონალდოს დაუკარგავს, რაკილა „ფეიენოორდთან" საშინაო მარცხის მიუხედავად, „ინტერს" ფინალში გაღწევის არცთუ ურიგო შესაძლებლობა შერჩა.

ხოლო მწვრთნელმა, ჰექტორ რაულ კუპერმა თქვა, თასის მოგება ჰოლანდიელებზე მეტად გვწადიაო. რატომ? ეს არგენტინელს აღარ განუმარტავს, ისე კი, მოგეხსენებათ, კუპერი გუნდების ევროფინალებში გაყვანის დიდოსტატია. მეორე მხრივ, ღმერთი სამებითაა და კუპერი ზედიზედ სამჯერ ფინალში უკვე იყო...




REUTERS

„დორტმუნდი" — „მილანი" 4:0. მარსიო ამოროზომ (№22) „მილანის" კარი აიოხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. ნახევარფინალი
### პირველი მატჩები. გუშინ

UEFA CUP

**დორტმუნდი** (გერმანია) 4:0 **მილანი** (იტალია)

1:0, 2:0, 3:0 ამოროზო (8პ, 34, 39), 4:0 ჰაინრიხი (62)

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ჰაინრიხი (ევანილსონი 71), როიტერი, იან კოლერი, როსიცკი, ევერტონი (რეინა 89), ოლისე, დედე (იურგენ კოლერი 77), მეცელდერი, ამოროზო

მილანი: აბიატი, მალდინი, ალბერტინი (სერჯინიო 46), გატუზო (რუი კოშტა 61), კალაძე, პირლო, კონტრა (როკე ჟუნიორი 65), ლაურსენი, ამბროზინი, ინძაგი, ხოსე მარი

გაფრთხილება: ამბროზინი, გატუზო, რუი კოშტა, ხოსე მარი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

52 000 მაყურებელი

**ინტერი** (იტალია) 0:1 **ფეიენოორდი** (ჰოლანდია)

0:1 კორდობა (ნ!ს.კ.)

ინტერი: ფონტანა, შიმიჩი, მატერაცი, კორდობა, გრეშკო, კონსეისაუ, დი ბიაჯო, ემრე (ზეედორფი 56), გული (რეკობა 78), ვენტოლა, კალონი (რონალდო 70)

ფეიენოორდი: ზუტებირი, ემერტონი, ვან გონდერენი, პაუვე, რესასა, კალუ (აროსი 86), ბოსველტი, ონო, ვან პერსი (ელმანდერი 84), ტომასონი, ვან ჰოიდონკი

გაფრთხილება: კორდობა, რესასა, მატერაცი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

39 622 მაყურებელი



REUTERS

ინტერი — ფეიენოორდი. რონალდომ (ბურთით) წაგებულ თამაშში 20 წუთი ითამაშა



REUTERS

დორტმუნდი — მილანი. კახა კალაძე (მარცხნივ) ტომაშ როსიცკის თითქოს გაუმკლავდა, მაგრამ...



REUTERS

დორტმუნდი — მილანი. სტუმარმა ანდრეა პირლომ დიდი ხელითდა შეაჩერა



REUTERS

ინტერი — ფეიენოორდი. მილანელი სერჟიუ კონსეისაუ გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყო

## ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

**უიმბლდონი 2:0 ძრიუ**

## შვეიცარია
A ჯგუფი
გადადებული მატჩი

**სენტ გალენი 1:3 ბაზელი**

## დანია
თასის ნახევარფინალი

**ოდენსე 1:0 რანდერს ფრაია**

**კოპენჰაგენი 1:0 ესბიერგი**

## ცუდი ამბავი ბარსელონასთვის

გუშინ საღამოს „ბარსელონას" პრეზიდენტ ხუან გასპარს კიდევ ერთხელ მოეცარა ხელი. მის სურვილს, ფაბიო კაპელო გადაებირებინა, სულ მცირე სამი წლით ახლომა არ უწერია – იტალიელმა მწვრთნელმა „რომასთან" 2005 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც სეზონში 3,87 მილიონ ევროს მიიღებს.



ფაბიო კაპელო


## იყიდება

**გაზ–2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.**

ტელ.: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)
კახა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# ანგელოსის პენალტი

**პანათინაიკოსი 1:0 ბარსელონა**

1:0 ბასინასი (79პ)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, ბასინასი, სარიჩი, კირიაკოსი, გუმასი, ფისასი, ვლაოვიჩი (ოლისადებე 74), კოლკა, ლიბეროპულოსი (ბოატენგი 59), კონსტანტინუ (ფოკოლოსი 90)
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
ბარსელონა: ბონანო, დე ბური, აბელარდო, პუიოლი, კოკო (რაიციგერი 67), გაბრი, როჩემბაკი (რივალდო 72), კოკუ (ხავი 53), მოტა, კლუივერტი, ოვერმარსი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: კოკო, კირიაკოსი, სარიჩი, ბონანო, დე ბური
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
15 800 მაყურებელი

**ღიას**, „პანათინაიკოსმა“ „ბარსელონას“ მოუგო, ოღონდ, მხოლოდ 1:0 — მეტი, ალბათ, ოცნების სფეროდან იქნებოდა — და შემდეგ სამშაბათს, უკიდეგანო „კამპ ნოუზე“ მოუწევს უპირატესობის დაცვა. უკიდეგანო „კამპ ნოუზე“ უპირატესობის დაცვა-შენარჩუნება კი, მით უფრო ათენელთა ყალიბის გუნდისთვის, უძნელესი საქმეა, თუმცა ამაზე ლაპარაკი რამდენიმე დღით, საპასუხო შეხვედრის ანონსამდე გადავდოთ და უშუალოდ დღევანდელ საქმეს, „სპიროს ლუისზე“ ჩატარებული თამაშის აღწერას მივხედოთ.

საერთოდ, საბერძნეთში თამაში რომ ძნელი საქმეა, ბევრჯერ თქმულა. ამის მიზეზი გამაყრუებელი და ამოუსუნთქავი ყიჟინისთვის მომართული მაყურებელი გახლავთ, რომელმაც არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და პირველივე წუთიდან დაბერა ფილტვები, მაგრამ „ბარსამ“ (რომელიც, სხვათა შორის, ფრიად დაცვაზე ორიენტირებული შემადგენლობით გახლდათ მოედანზე გასული) ხმაურს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია. თუმცა, თავის მხრივ კატალონიელებს თავდასხმაში გამწესებული ჰოლანდიელების, მარკ ოვერმარსისა და პატრიკ კლუივერტის იმედი ჰქონდათ, ბერძენთა ყიჟინა სწორედ მათ უნდა დაედუმებინათ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს და თითქოს ყიჟინა ყიჟინად დარჩა, ხოლო თამაში თამაშად.

და მაინც, ანგარიშის გასახსნელად, თავიდან უფრო დაჟინებით მასპინძლები მიილტვოდნენ. აქტიურობდნენ ღონიერი მიხალის კონსტანტინუ კვლავ ფორმაში შესული, ფინელი იონას კოლკა, თუმცა შესვენების შემდეგ კატალონიელებმა მეტად გამოაჩინეს კბილები — ბერძენთა მეკარეს, ანტონის ნიკოპოლიდისს ორჯერ მოუხდა კლუივერტის დარტყმულის მოგერიება, ერთხელ კი, თამაშში მოგვიანებით ჩართული რივალდოსი.

და მაინც, როგორც შეხვედრის ანგარიშიდან ჩანს, თავისას „პანათინაიკოსმა“ მიაღწია. ეს 79-ე წუთზე მოხდა, როდესაც აბელარდომ, ნორვეგიელი მსაჯის ვერსიით, ზემოხსენებული კოლკა წააქცია და ანგელოს ბასინასმა უემოციოდ შეასრულა თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე „ბარსელონას“ თავკაცმა კარლოს რექსაჩმა უპირველეს ყოვლისა ყურადღება სწორედ ამ პენალტზე გაამახვილა: „მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს დიდ პატივს ვცემთ, მოედანზე ფრის სათამაშოდ არ ვიყავით გასული. ჩვენ მოგება გვინდოდა. მაგრამ გაირკვა, რომ ბერძნებს მოედანზე მეთორმეტე კაცი ჰყავდათ და ეს კაცი მსაჯი იყო. მინდა ვთქვა, რომ ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ თამაშამდე მიგვიჩნევდა გამარჯვებულად, მაგრამ ისინი შეცდნენ“.

შემდეგ კატალონიელთა მწვრთნელმა განმარტა, რატომ არ ათამაშა რივალდო თავიდანვე (ხავიერ სავიოლაზე არაფერი უთქვამს) ანუ რატომ ჰყავდა მოედანზე ერთადერთი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი:

„რივალდო თავიდანვე სათამაშოდ მზად არ იყო. მართალია, ის რომ მოედანზე ყოფილიყო, ჩვენს მიერ შექმნილი მომენტებიდან ერთი მაინც დასრულდებოდა გოლით, მაგრამ 0:0-იც ძალიან კარგი შედეგი იქნებოდა. თუმცა, მიუხედავად დამარცხებისა მე ოპტიმისტი გახლავართ და ვფიქრობ, რომ შინ ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ დავამთავრებთ, რაშიც ბარსელონელი ქომაგები დაგვეხმარებიან“.

და ისევ: „დღევანდელი შეხვედრა მსაჯმა წაგვაგებინა. მე თუ მკითხავთ, პენალტი არ იყო“.

„პანათინაიკოსის“ მწვრთნელი სერხიო მარქარიანი კი რის მარქარიანი იქნებოდა, პენალტზე ასე რომ არ ეთქვა:



REUTERS

ათენელმა გორან ვლაოვიჩმა (მარცხნივ) და მარკ ოვერმარსმა ჰაერში გაიბრძოლეს

„მე ის მომენტი არ დამინახავს. საერთოდ კი ვფიქრობ, მსაჯმა კარგად ჩაატარა შეხვედრა. იქნებ ერთი-ორი წვრილმანი შეცდომა მართლაც დაუშვა, მაგრამ ვიმეორებ, მთლიანობაში მსაჯობის თვალსაზრისით კარგი მატჩი იყო“.

შემდეგ მარქარიანი მატჩის თავისეულ ანალიზზე გადავიდა:

„დღეს ორი სირთულე გვქონდა გადასალახი: პირველი, ძლიერი მოწინააღმდეგე და მეორე, საკუთარი ფიზიკური მოუმზადებლობა. ეს უკანასკნელი აშკარად უფრო დიდი პრობლემა გახლდათ. საბედნიეროდ, ყველაფერს გავართვით თავი და მოედანზე „პანათინაიკოსის“ ასი პროცენტი ვიხილეთ. ასევე იქნება ერთი კვირის შემდეგ. გამარჯვებას კი იმიტომ ვიმსახურებდით, რომ სწორედ ჩვენ ვიყავით ის გუნდი, რომელიც პირველივე წუთიდან ამ მიზნით იყო შეპყრობილი და თავგანწირვით იბრძოდა“.

ბოლოს კი, როდესაც თითქოს უკვე ყველაფერი ნათქვამია, ისევ კარლოს რექსაჩს მივუბრუნდეთ. აი, მისი კიდევ ერთი ნათქვამი:

„დღეს მოედანზე ჩვენ ვიყავით უმჯობესი გუნდი და მეორე შეხვედრაში უფრო უკეთ ვითამაშებთ“.

**ბაჩუნა ბედია**

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

# მანჩესტერამდე ჯერ შორია



მაიკლ ოუენმა სემი ჰიიპიას საგოლე პასი ჩააწოდა და...

**ლივერპული 1:0 ლევერკუზენი**

1:0 ჰიიპია (44)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანრი, ჰიიპია, რიისე, ჰამანი, მერფი, შმიცერი (ბერგერი 75), ჯერარდი, ოუენი (ლიტმანენი 70), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, რამელო, პლასენტე, შნაიდერი, ზე რობერტო, ბალაკი, ბაშთურქი, ნოივილი (კირსტენი 74), ბერბატოვი (ვოკოვიჩი 66)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ლუსიო, რამელო, კარაგერი, ჰიიპია
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
42 454 მაყურებელი

**ოთხშაბათის** ენფილდური მატჩი არ ჰგავდა ორი კვირის წინანდელ „ლივერპულ“ — „რომას“ და ეს ბუნებრივიცაა იმ შემართებითა და სილაღით, რომლითაც მაშინ მერსისაიდელები გამოირჩნენ, გუნდმა სეზონში ერთხელ შეიძლება ითამაშოს. თანაც ის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრა იყო, ხოლო ჟერარ ულიეს ბიჭებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ — თუ გაამართლებდა ხომ კარგი, თუ არა და, რაღა გაეწყობოდა. პლეი ოფს კი თავისი წესი აქვს და „ლივერპულმაც“ ამ წესს მისდია: უფრო ჩაიკეტა, საკუთარ ნახევარზე გამაგრდა და ბუნდესლიგის ლიდერს ამგვარად აჯობა. თამაში საამოდ საცქერი არ გამოდგა, თუმცა ეპიზოდებში მაყურებელი ნამდვილი ფეხბურთის მოწმე შეიქნა.

მასპინძლებს შეტევაში ჰესკი-ოუენის წყვილი გაემწესებინათ, მაგრამ ტაიმის ბოლომდე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა, მეკარეები, ჰანს-იორგ ბუტი და ირჟი დუდეკი მხოლოდ მაშინ ჩნდებოდნენ, როცა ბურთი თამაშში იყო შესაყვანი.

ტაიმის ბოლოსკენ კი მინდორზე ცეცხლი დაინთო. ჯერ ვლადიმირ შმიცერმა თავით სამი მეტრიდან ვერ გაიტანა, ხოლო სამიოდ წუთში ანგარიში გაიხსნა: მასპინძლებმა კუთხური ჩააწოდეს, ბურთი მაიკლ ოუენს მიუვიდა, „ბიჭმა“ კარის გასწვრივ ჩააწოდა და იქ კაპიტანმა სემი ჰიიპიამ ერთი მეტრიდან, ფაქტობრივად, ცარიელ კარში შეაგდო.

მეორე ნახევარი უფრო ცოცხალი გამოდგა. თავიდანვე ორივე გუნდმა მეტი ჟინით დაიწყო თამაში. უფრო სტუმრები ცდილობდნენ. სხვებზე მეტად ზე რობერტო და ბაშთურქი გამოირჩეოდნენ, აი, მიხაელ ბალაკი კი საკუთარ თავს არ ჰგავდა. სხვათა შორის, ზე რობერტოს თაობაზე ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმაა, „ბაიერნს“ უნდა და გვარიან თანხასაც იხდისო, მაგრამ, ჩანს, ლევერკუზენელები ბრაზილიელის დათმობას არ აპირებენ: „ნებისმიერი დანახარჯებისთვის მზად ვართ, ოღონდ ზე რობერტო შევინარჩუნოთ. ამ საქმეს იმედით ვუყურებთ და ვფიქრობთ, გარიგება ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება. ფეხბურთელის აგენტ ჟუან ფიგერთან მოლაპარაკებები გრძელდება და ორიოდ კვირაში ყველაფერი გაირკვევა“ — თქვა ლევერკუზენელთა ბოსმა რაინერ კალმუნდმა.

ზე რობერტო მართლაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ დავუბრუნდეთ მატჩს. მორიგი კუთხურის შემდეგ მასპინძელთა ნორვეგიელმა იონ არნე რიისემ ვარდნაში ეფექტურად დაარტყა, თუმცა მეკარემ იმარჯვა. მალევე რიისეს კიდევ ერთი შანსი მიეცა, წითურმა სკანდინაველმა კი კარს ააცილა.

თუ „ლევერკუზენი“ გაიტანდა, ეს 65-ე წუთზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბალაკმა ვერ ივარგა და მერე თამაში ცენტრს აღარ გასცილებია.

„კარგი შედეგია ჩინებული გუნდის წინააღმდეგ — თქვა ლივერპულელთა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ — მათმა პრესინგმა გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა და, შესაძლოა, ტაქტიკურად ცოტა ერთფეროვნადაც ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, რომ გავიმარჯვეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, გადამწყვეტ მომენტში მობილიზება და მიზნის მიღწევა შეგვიძლია. „მანჩესტერთან“ მოსალოდნელ ნახევარფინალზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან ლევერკუზენში ურთულესი მატჩის გველის, თუმცა საკუთარი თავისა გვჯერა და ვიმედოვნებთ, საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო სემი ჰიიპიას გარჯა და თავდადება. მას დიდი შანსი აქვს კლუბის ისტორიაში პირველი უცხოელი კაპიტანი გახდეს, ჩემპიონთა თასს რომ აღმართავს. თავისი თამაშით ის ამის ღირსიც არის“.

ლევერკუზენელთა დამრიგებელი კლაუს ტოპმიოლერი მერსისაიდელებს „ბაიარენაზე“ დიდ ბრძოლას დაჰპირდა, ენფილდურ მატჩზე კი ეს თქვა: „ლივერპული“ საუცხოოდ ორგანიზებული გუნდია, განსაკუთრებით დაცვის განსწავლულობამ მომხიბლა. გოლი რომ ვერ გავიტანეთ, ამან, ეგებ შინ პრობლემები შეგვიქმნას. ინგლისელები ყრუ დაცვაში ჩადგებიან და მათი გატეხვა იოლი არ იქნება. თუმცა მეტი რომ ვერ გაგვიტანეს, ეს ჩვენს სიძლიერეზეც მეტყველებს. რაზეც გული მწყდება ის არის, რომ პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობა შეგნებულად არ უნდა დაგვეთმო“.

გერმანელთა ნახევარმცველი კარსტენ რამელო: „საპასუხო მატჩის წინ იმედიანად ვართ. „ენფილდზეც“ ურიგოდ არ გავრჯილვართ და ზოგჯერ ისე ჩანდა, მასპინძლებმა არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ“...

**სოლომონ ბულისკერია**



REUTERS

– „ლივერპულის“ კაპიტანმა თავი არ შეირცხვინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეხგასიებული დევიდ ბექემი
ლა კორუნიიდან უფეხსაცმლოდ წავიდა

# მოხანიება ერთ კვირაში შემოგივლით

**სერ ალექს ფერგიუსონს**, სვენ გორან ერიკსონსა და სრულიად ინგლისს გულზე მოეშვათ, როცა შეიტყვეს, დევიდ ბექემის ტრავმა სერიოზული არაა და ნახევარმცველი შესაძლოა, ერთ კვირაში დაუბრუნდეს მოედანსო. კიდევ უფრო კარგი — არც ისაა გამორიცხული, „ოლდ ტრეფორდზე“ „დეპორტივოსთან“ საპასუხო მატჩში ითამაშოს.

ისე კი, ვინ მოთვლის რამდენმა მილიონმა ადამიანმა წაიშინა თავში ხელი იმ წამს, როცა ესპანელმა დიეგო ტრისტანმა „დეპორტივო“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ სალიგო შეხვედრის მიწურულს შიგ კოჭში დაუმიზნა, ინგლისის იმედს ისეთი ჩასცხო, რომ ეს უკანასკნელი ფეხზე ველარ ადგა და სიმწრისგან სახეზე ხელებაფარებული გაიყვანეს საკაცით.

„გადავრჩით“, „ბედმა გაგვიღიმა“ და სხვა ამგვარი სათაურებით გამოვიდა თითქმის ყველა ბრიტანული გაზეთის სპორტული გვერდები, როცა ბექემზე დამაიმედებელი ცნობა შეიტყვეს. არადა, შიშობდნენ, ვაითუ, დევიდი კორეა-იაპონიის მიღმა დარჩესო.

ხოლო ამ ყველაფერში დამნაშავე დიეგო ტრისტანმა, რომელსაც, სხვათა შორის, მსაჯმა კიროს ვასარასმა ყვითელი ბარათი აკმარა და მოედნიდან არ გააძევა, ახლა ბოდიში მოიხადა: „ძალიან ვწუხვარ, სათამაშო ეპიზოდი იყო და ვერ მოვზომე. ძალიან გამახარა იმ ამბავმა, რომ დევიდს სერიოზული არაფერი სჭირს და უახლოეს მომავალში დაუბრუნდება მინდორს. როცა შევხვდები, პირადად მოვუბოდიშებ“.

უნდა გენახათ, რა დღეში ჩააგდეს თავად ესპანურმა გაზეთებმა თანამემამულე ფორვარდი.

„ელ პაისი“: „მან მთელი გუნდი შეარცხვინა, ბექემი ფაქტობრივად გაიმეტა“.

„მარკა“: „ტრისტანმა კონტროლი დაკარგა“.

ხოლო „დარიო ასმა“ ინციდენტს საერთოდაც „ბოროტი ჯარიმა“ უწოდა.

თუმცა ახლა, რაც მთავარია, ყველაფერმა ჩაიარა.

**ნიკა ზუბლაძე**



რონალდ დე ბურმა (მარცხნივ) ძმას ბარსელონაში ჩაკითხა

# ქართულად გასმირნება ბარსელონაში

**ჩაკადაა** „ბარსელონას“ საქმე. პრიმერაჩემპიონობაზე ფაქტობრივად ხელჩაქნეულმა და ჩემპიონთა ლიგაზე გადართულმა კატალონიელებმა ბერძნული ალიყურიც ჭამეს. საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის გათვალისწინებით ეს კიდევ ასატანია, მაგრამ საგანგაშო უფრო ისაა, რომ გუნდის საშხარეულოში გვარიანი არეულობაა, სხვა შემთხვევაში კლუბის ჰოლანდიელი ჯიგარი ფრანკ დე ბური ამ გაგანია საგაზაფხულო ციებ-ცხელებისას „ბარსას“ დატოვებაზე არ ალაპარაკდებოდა.

დე ბურის ნათქვამი დიპლომატიურია და ბევრი „თუ“ და „მაგრამ“ ურევია, მაგრამ ამ მოზომილი განცხადების დედააზრი ის არის, რომ კაცს ინგლისში გადასვლა სურს.

კარლოს რექსაჩი თუ წავიდაო (აბა, ვინ დატოვებს), ახალი მწვრთნელი მოვაო, ის ახალ ფეხბურთელებს მოიყვანს და სჯობს, „ბარსელონას“ გავეცალოო — ამისთანებს ამბობს ფრანკი. იქვე უმატებს, თუ რექსაჩი დარჩა, მე და „ბარსას“ რა გაგვყრისო, მაგრამ თქვენი როგორ გამიკვირდება, კატალონიაშიც აღარ სჯერათ რექსაჩის და „ბარსელონას“ ერთად სიარულისო.

მოკლედ, ეს ამბავი ჩასაძირად განწირული გემისას ჰგავს და ფრანკმა პირველმა იშოვა გასაბერი ნავი.

ამასთან დაკავშირებით როგორც იქნებოდა, კომენტარი მის ტყუპისცალ რონალდსაც არ გაეკეთებინა. რომ ჰკითხეს, კვლავ ერთად ხომ არ ითამაშებდითო, უპასუხა, ეგ საშოტლანდიო კაცი არ არისო.

ფრანკისთვის უმჯობესია, ესპანეთშივე დარჩეს, „სელტა“, „დეპორტივო“ და „ვალენსია“ იქვე არიან და თითოეული სიხარულით მიიღებს. თუ მაინც ისურვებს ესპანეთის დატოვებას, პრემიერლიგას ჩააკითხოს, ცეცხლის დანთება იქაც შეუძლიაო, თქვა ტყუპისცალმა და ძმის შესაძლებლობებზეც ილაპარაკა — „ფრანკისთვის ეს სეზონი იღბლიანი ვერ გამოდგა, მაგრამ ისეთი კაცია, 3-4 სეზონს უპრობლემოდ ითამაშებს უმაღლეს დონეზე“.

სადაც რონალდ დე ბურზე ვთქვით, იქ ჩვენი შოთა არველაძეც უნდა ვახსენოთ. ბევრი რამე აქვთ მათ საერთო. ერთ გუნდში ხომ თამაშობენ, ძმებიც ტყუპები ჰყავთ და გადაბმული მეგობრობა აქვთ.

წინა უქმეებზე შოტლანდიის ჩემპიონატში რომ ფანჯარა გაჩნდა, რონალდს შოთასთვის ხელი ჩაუჭიდია, წამო, ერთი გემრიელად შევუბეროთო. შეუბერეს კიდეც. გლაზგოელი ტყუპისცალები ესპანეთში ჩავიდნენ, „ბარსა“ — „ლას პალმასის“ მატჩამდე გასახდელში შეაბიჯეს, რონალდმა ძმა და მეგობრები მოიკითხა, ძველ თანაგუნდელებს გამარჯვება უსურვა, მატჩის მერე კი შოთასთან ერთად ბარსელონის რჩეულ რესტორნებს ღირსეულად მიადგა და სამი დღის განმავლობაშიეს ორნი მაგრადაც რომ გაერთობოდნენ, რონალდის სიტყვებიდანაც ჩანს — ასე კარგად კარგა ხანია, არ დამისვენიაო, უთხრა შოტლანდიაში დაბრუნებულმა დე ბურმა გლაზგოელ ჟურნალისტებს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# თან საქმე

## ემერსონი ლაპარაკობს, კაპელო ფიქრობს

**ფრანჩესკო ტოტის** ტრავმამ გვარიანად ააფორიაქა დედაქალაქური „რომა“, თუმც ბრაზილიელი ემერსონი იხტიბარს არ იტეხს და კვლავაც სკუდეტოსთვის ბრძოლას აპირებს.

— „რომა“ ბოლომდე უნდა მიაწვეს. სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ ხუთი ტურია, ამიტომ სავსებით რეალურია, რომ „ინტერმა“ ქულები დაკარგოს. დღევანდელ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს — განაცხადა ემერსონმა.

ბრაზილიელს დღესაც კარგად ხსომებია ორი წლის წინანდელი ამბავი. მაშინ ემერსონი ლევერკუზენის „ბაიერში“ თამაშობდა და ჩემპიონობა ბოლო ტურში დაკარგა...

— უნდა დაველოდოთ როდის დაუცდება ფეხი „ინტერს“. ცხადია, თან ჩვენი მეტოქეებიც უნდა დავამარცხოთ. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა. სეზონის ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. კაპელომ იცის, რა და როგორ გააკეთოს — დაამატა ემერსონმა.

ბრაზილიელმა ბოლოს ორიოდ სიტყვა ფრანჩესკო ტოტიზეც თქვა: „ფრანჩესკო ჩვენთვის დიდი დანაკლისია. გუნდი გრძნობს, რომ რაღაც აკლია. მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურებს ჩამოვყრით. სხვა ფეხბურთელები მზად არიან საბრძოლველად. ყველაზე მეტად კი ვინჩენცო მონტელას იმედი მაქვს. ის ძალიან მაგარია“.

ფაბიო კაპელო კი, ემერსონისგან განსხვავებით, ცოტას ლაპარაკობს და ბევრს ფიქრობს. როგორც ვარაუდობენ, მას გადაწყვეტილი აქვს, ფრანჩესკო ტოტის პოზიციაზე სწორედ ბრაზილიელი საყრდენი გაამწესოს. გაამართლებს თუ არა, მალე ვნახავთ, კაპელო ხომ ძალიან იშვიათად ცდება...

**კახა ზალამბერიძე**



ემერსონი ტოტის მაგიერ მოიჭრევს

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXX ტური

**აიაქსი 4:3 გრონინგენი**

0:1 ვან გესელი (12), 1:1, 2:1 მიდო (42, 56), 2:2 რობენი (60), 2:3 ტუუტერუ (69), 3:3, 4:3 მახლასი (70, 85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 31 | 19 | 7 | 5 | 68:37 | 64 |
| ფეიენოორდი | 28 | 17 | 5 | 6 | 63:23 | 56 |
| პსვ | 28 | 16 | 6 | 6 | 62:29 | 54 |
| ჰერენვენი | 28 | 15 | 6 | 7 | 51:23 | 51 |
| ვიტესი | 29 | 13 | 11 | 5 | 37:29 | 50 |
| ბრედა | 29 | 14 | 7 | 8 | 50:44 | 49 |
| უტრეხტი | 29 | 12 | 8 | 9 | 55:45 | 44 |
| ვალვაიკი | 29 | 12 | 6 | 11 | 40:35 | 42 |
| ნაიმეგენი | 29 | 11 | 5 | 13 | 31:48 | 38 |
| ტილბურგი | 28 | 9 | 10 | 9 | 45:47 | 37 |
| ალკმაარი | 29 | 10 | 5 | 14 | 33:40 | 35 |
| როდა | 29 | 10 | 5 | 14 | 31:42 | 35 |
| ტვენტე | 29 | 8 | 10 | 11 | 36:38 | 34 |
| გრონინგენი | 30 | 9 | 5 | 16 | 39:58 | 32 |
| დენ ბოსხი | 29 | 7 | 9 | 13 | 36:48 | 30 |
| გრააფსხაპი | 28 | 8 | 5 | 15 | 34:46 | 29 |
| სპარტა | 29 | 4 | 11 | 14 | 26:65 | 23 |
| სიტარდი | 29 | 2 | 7 | 20 | 23:63 | 13 |

## პორტუგალია

I ლიგა. გადადებული მატჩი

**ჟილ ვისენტე 2:2 ალვერკა**

0:1 ვარგასი (6), 0:2 კაჟუ (27), 2:1 ლუიშ ლურეირუ (48), 2:2 მარკო ნუნუ (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 29 | 19 | 7 | 3 | 62:20 | 64 |
| ბოავიშტა | 29 | 19 | 6 | 4 | 45:14 | 63 |
| ბენფიკა | 29 | 15 | 10 | 4 | 57:32 | 55 |
| პორტუ | 29 | 16 | 5 | 8 | 49:30 | 53 |
| ბელენენსეში | 29 | 15 | 5 | 9 | 43:36 | 50 |
| მარიტიმუ | 29 | 14 | 4 | 11 | 40:29 | 46 |
| ლეირია | 29 | 11 | 9 | 9 | 41:31 | 42 |
| ფერეირა | 29 | 10 | 9 | 10 | 37:38 | 39 |
| გიმარაეში | 29 | 10 | 8 | 11 | 29:30 | 38 |
| ბრაგა | 29 | 9 | 10 | 10 | 34:30 | 37 |
| სანტა კლარა | 29 | 9 | 8 | 12 | 25:35 | 35 |
| ბეირა მარი | 29 | 9 | 7 | 13 | 43:50 | 34 |
| სეტუბალი | 29 | 8 | 9 | 12 | 33:36 | 33 |
| ჟილ ვისენტე | 30 | 8 | 7 | 15 | 33:50 | 31 |
| ვარზიმი | 29 | 7 | 7 | 15 | 23:48 | 28 |
| სალგეირუში | 29 | 7 | 6 | 16 | 24:60 | 27 |
| ალვერკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32:55 | 24 |
| ფარენსე | 29 | 5 | 7 | 17 | 23:49 | 22 |

## ავსტრია

XXIX ტური

**შტურმი 5:1 კარნტენი**

1:0 ვასტიჩი (28), 2:0 მასუდი (31), 2:1 მარიჩი (45), 3:1 შაასი (54), 4:1 საბიჩი (82), 5:1 მუშინი (86)

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, როხასი, მაილიხი, ფეტლი, მასუდი, ვასტიჩი (მუშინი 63), ბოსნარი, პანადიჩი, შაასი (საბიჩი 63), ამოა (შელდტი 74)

მწვრთნელი: შტურმის ფრიცი

**რიდი 0:1 გრაცერი**

**ბრეგენცი 3:0 რაპიდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 29 | 21 | 4 | 4 | 54:10 | 67 |
| გრაცერი | 29 | 13 | 10 | 6 | 54:35 | 49 |
| შტურმი | 29 | 13 | 10 | 6 | 48:31 | 49 |
| აუსტრია | 29 | 11 | 9 | 9 | 39:30 | 42 |
| კერნტენი | 29 | 12 | 6 | 11 | 31:40 | 42 |
| ზალცბურგი | 29 | 10 | 8 | 11 | 28:30 | 38 |
| ბრეგენცი | 29 | 9 | 8 | 12 | 41:56 | 35 |
| რაპიდი | 29 | 8 | 8 | 13 | 26:37 | 32 |
| რიდი | 29 | 7 | 8 | 14 | 31:44 | 29 |
| ადმირა | 29 | 3 | 5 | 21 | 18:57 | 14 |

## თურქეთი

გადადებული მატჩი

**ტრაბზონსპორი 0:2 გალათასარაი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 29 | 19 | 6 | 4 | 63:31 | 63 |
| ფენერბაჰჩე | 29 | 19 | 3 | 7 | 58:30 | 60 |
| ბეშიქთაში | 29 | 17 | 7 | 5 | 66:33 | 58 |
| ანკარაგიუჩიუ | 29 | 15 | 5 | 9 | 64:47 | 50 |
| ბურსა | 29 | 13 | 5 | 11 | 44:50 | 44 |
| ისთანბული | 29 | 11 | 6 | 12 | 28:31 | 39 |
| გაზიანთეფი | 29 | 10 | 8 | 11 | 46:45 | 38 |
| ტრაბზონი | 29 | 11 | 5 | 13 | 45:49 | 38 |
| გენჩლერი | 29 | 10 | 8 | 11 | 41:46 | 38 |
| გიოზთეფე | 29 | 10 | 8 | 11 | 31:45 | 38 |
| დენიზლი | 29 | 9 | 10 | 10 | 53:46 | 37 |
| ქოჯაელი | 29 | 10 | 6 | 13 | 32:44 | 36 |
| დიარბაქირი | 29 | 9 | 8 | 12 | 38:44 | 35 |
| მალათია | 29 | 10 | 4 | 15 | 30:47 | 34 |
| რიზე | 29 | 7 | 10 | 12 | 36:43 | 31 |
| სამსუნი | 29 | 8 | 7 | 14 | 25:37 | 31 |
| ანთალია | 29 | 6 | 9 | 14 | 39:57 | 27 |
| იოზგათი | 29 | 6 | 7 | 16 | 40:54 | 25 |

# კანცლერი მოაცდინეს

**ცნობილ** ტელემაგნატ ლეო კირხის ფინანსურმა პრობლემებმა გერმანულ ფეხბურთში გვარიანი შეშფოთება გამოიწვია. ადრეც ვწერდით, რომ კირხის მედიაჯგუფს მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლების გარდა ასეთივე უფლება გერმანული ბუნდესლიგის მატჩებზეც აქვს.

ცნობილი გახდა, რომ კირხისეული წინადადებები, რომლებიც ვალების გადახდის გარკვეული ხნით გადავადებას ითვალისწინებდა, კრედიტორებმა უარყვეს რამაც ვითარება უფრო ბუნდოვანი გახადა. არადა, ტელემაგნატს ბუნდესლიგის მატჩების ჩვენება-გაყიდვის ექსკლუზიური უფლება 2004 წლამდე ეკუთვნის.

დღესდღეობით მრავალი მცირე და საშუალო კლუბის შემოსავლის ნახევარს სწორედ კირხის ფული ქმნის. ბუნდესლიგასთან შეთანხმების მიხედვით, „კირხის ჯგუფმა“ ამ წლის განმავლობაში პირველი და მეორე ბუნდესლიგებისთვის 200 მილიონი ევრო უნდა გადარიცხოს — მაისისა და აგვისტოს დამდეგს შესაბამისად 100-100 მილიონი. დამფრთხალმა კლუბებმა დასახმარებლად გერმანიის მთავრობასა და რეგიონალურ ლიდერებს მიმართეს. „დოიჩე ცაიტუნგის“ ინფორმაციით, პირველი და მეორე ბუნდესლიგების ოცდათექვსმეტმა კლუბმა გერმანიის მთავრობას ფინანსური გარანტიების უზრუნველყოფა სთხოვა. კირხის მედიაიმპერიის დაძირვის შემთხვევაში კლუბები მთავრობას სპეციალური ფონდის შექმნას სთხოვენ, რომელიც სატელევიზიო უფლებების ახალი მეპატრონის გამოჩენამდე ბუნდესლიგებს ფინანსურად დაეხმარება.

გერმანული პრესა ასევე იუწყება, ბუნდესლიგის პრეზიდენტ ვერნერ ჰაკმანს უკვე ჰქონდა კონსულტაციები რეინ-ვესტფალიის მხარის ლიდერ ვოლფგან კლემენტთან და გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთანო. ბუნდესლიგელებს თავად კანცლერ გერჰარდ შრიოდერისგანაც მიუღიათ დაპირება.

**სერგი ძორიძე**




კრისტიან და ხუან რომან რიკელმეები

# არგენტინაშიც ლეკიანობაა
## რომან რიკელმემ ძმა გამოისყიდა

**კრისტიან რიკელმე** არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშე ყველაზე პოპულარული და ხალხისთვის საყვარელი ფეხბურთელის ხუან რომან რიკელმეს ძმაა. გუშინწინ საღამოს ის საეჭვოდ გაუჩინარდა, რამდენიმე საათში კი გამტაცებლები რიკელმეების ოჯახს შეეხმიანენ და კრისტიანის შინ უვნებლად დაბრუნების სანაცვლოდ 300 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

„კლუბი უკვე დაუკავშირდა ავტორიტეტულ პირებს, რათა პრობლემა მოგვარდეს, ხუან რიკელმე თავს განადგურებულად გრძნობს, ისევე როგორც „ბოკა ხუნიორსის“ ნებისმიერი წევრი“ — განაცხადა ბუენოსაირესული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო დი გონმა გუშინ დილით. საღამოს კი ასეთი ცნობა გავრცელდა — კრისტიან რიკელმე გაანთავისუფლეს. ამბობენ, რომ რომან რიკელმემ ძმაში 130-დან 160 ათას დოლარამდე გადაიხადა.

თავად კრისტიანიც ფეხბურთელია, იგი 16 წლისაა, თუმცა უფროსი ძმისგან განსხვავებით, შედარებით უსახელო გუნდში, „პლატენსეში“ თამაშობს. ეს კლუბი არგენტინის მეორე დივიზიონში გამოდის.

23 წლის ხუან რამონ რიკელმე კი „ბოკა ხუნიორსის“ ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია და იქ 1996 წლიდან თამაშობს. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრების წევრს, რომელსაც ძალიან ბევრი ევროპული გრანდი ეპატიჟება, „ბოკასთან“ ერთად უკვე მოგებული აქვს ორჯერ ლიბერტადორესის და ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასები.

**ნიკა შუბლაძე**

# წყალგაუმტარს წყალი არ გაუვა
## ისიამოვნეთ ფეხბურთით — ჩაიცვით ნეილონის ტრუსი!



წვიმს, წვიმს, მასველებს...

**თუკი** წლეულს კორეა-იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას გეგმავთ, წყალგაუმტარი სამოსელი მოიმარაგეთ — სხვაგვარად გალუმპვასა და ფილტვების ანთებას ვერ გადაურჩებით.

რატომ?

იმიტომ, რომ — არც მეტი, არც ნაკლები — იქაურ ჩინოვნიკებს სტადიონზე ქოლგების შეტანა აუკრძალავთ! ორიოდ დღის წინ ეს ამბავი გაკვრით ვახსენეთ და ახლა წვრილად გავარჩიოთ.

„ჩვეულებრივი ქოლგები მაყურებელს ციმციმ აეხევა — ამბობს ტაკაჰისა იშიდა, მავანი იაპონელი დიდმოხელე — გალუმპვას თუ არ გეგმავთ, ან ნეილონის პალტოები ჩაიცვით, ანაც მცირე დასაკეცი ქოლგებით აღიჭურვეთ“.

ჩვეულებრივი ქოლგების გარდა ქომაგებს პლასტიკური ბოთლებიც ჩამოერთმევათ. მაინცდამაინც მისასალმებელი არც ქაღალდის ხვეულას სროლა იქნება, აი, ისეთის, ჩვენ რომ ბავშვობაში ტროლეიბუსის ბილეთებს ვიპარავდით და რამე.

„დასტურ — დასძენს ბატონი იშიდა — ხვეულების და ეგეთი კუდრაჭობების მინდორზე გადაყრა ამიერიდან უნამუსობად და გოთვერნობად აღიქმება“.

საერთოდ კი მსოფლიოს პირველობის ორგანიზატორებს მატჩებზე დამსწრეთათვის ქცევის 5-გვერდიანი დოკუმენტი შეუმუშავებიათ. მასში 22 წესი და 17 აკრძალვაა და ყველა დამრღვევს ადმინისტრაციული სასჯელი ელის — აკრძალული საგნის შემტანს ანაც რამენაირად უწესოდ მომქცევს იმ მატჩიდანაც გააბუნძულებენ და აღარც მომდევნოებზე შეუშვებენ.

„რაც ყველაზე მთავარია, ყოველ ფანს რაღაც საბუთი მაინც უნდა ჰქონდეს — განაგრძობს ტაკაჰისა იშიდა — უსაბუთო კაცს სტადიონზე არ გააჭაჭანებენ და, დაე, ეგ ამთავითვე ყველამ იცოდეს — მერე რომ მწითური ბაზარი არ წავიდეს“.

სინოპტიკოსები გვარწმუნებენ: ივნისი კორეასა და იაპონიაში ყველაზე წვიმიანი თვეა.

**ლევან ძელაურაძე**


# სარბიელი სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14


## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ტოტენჰემის“ თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი დაშავდა და სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. „სახლში შევდიოდი და, სამწუხაროდ, მოულოდნელად დავეცი, მაჯის ძვალი გამიტყდა. მალე გამოკვლევას ჩავიტარებ და მაშინ გაირკვევა, რამდენად სერიოზულია ტრავმა. ეს ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო. ვფიქრობდი, გუნდს გადამწყვეტ მატჩებში დავეხმარებიმეთქი, მაგრამ...“ — დაღონებულია ფერდინანდი. „ტოტენჰემის“ თავკაც გლენ ჰოდლს 35 წლის ფორვარდის ტრავმა, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა, თუმცა ერთი სასიხარულო ამბავიც შეიტყო— კრის არმსტრონგი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოჯანმრთელდა და გუნდს შეუერთდა.

**გერმანულმა „ლევერკუზენმა“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ზე რობერტოს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. „ჩვენ მზად ვართ, ზე რობერტოს შესანარჩუნებლად ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, შეთანხმებას მივაღწევთ. ყველაფერი მალე გაირკვევა“ — განაცხადა „ლევერკუზენის“ გენერალურმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა. თუ კლუბი ბრაზილიელს ვერ შეინარჩუნებს, მაშინ მასში მინიმუმ 13 მილიონ დოლარს მოითხოვს.**

**ბრაზილიის** ნაკრების გენერალურ დირექტორად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი რობერტო პაულო ფალკაო დაინიშნა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდუ ტეიშეირამ ფალკაოს წინადადებით თებერვალში მიმართა, თუმც მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა და მხოლოდ ახლა დათანხმდა.

**ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენი“ 7 აგვისტოს იტალიურ „ინტერს“ ამხანაგურად გაეჯიბრება. ჰოლანდიელთა შორის ითამაშებს მხცოვანი ბრაზილიელი რომარიოც, რომელიც პსვ-ს ღირსებას რამდენიმე წლის წინ იცავდა.**

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენი“ ბრაზილიელ ფორვარდ ალეშთან განშორებას აპირებს. „ძალიან მინდოდა აქ დარჩენა, თუმც ვფიქრობ, ეს არ მოხერხდება. მაინც ვიამაყებ, რომ ოდესღაც პსჟ-ს ფორმა მეცვა. ჩემთვის ეს დიდი პატივია. ძალიან მსურს ესპანეთში თამაში. ვნახოთ, ჯერ არაფერი გარკვეულა. წინადადებებს კიდევ ველი“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

**ინგლისური „ლიდსის“ თავდამსხმელმა მარკ ვიდუკამ დაადასტურა, რომ კლუბს არც მომავალ სეზონში დატოვებს. „გავიგე, რომ ჩემით ესპანური „დეპორტივოა“ დაინტერესებული, თუმც მათ სატრანსფერო თანხის გადახდა გაუჭირდებათ. „ლიდსში“ თავს კარგად ვგრძნობ, ამიტომ აქედან წასვლა არ მსურს“ — თქვა ავსტრალიელმა ფორვარდმა. შეგახსენებთ, რომ „ლიდსი“ 26 წლის ვიდუკას სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას ითხოვს.**

**ნიგერიას** ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ეწვია და წინასაარჩევნო კამპანიაც გაჩაღა. ბლატერი ქალაქ აბუჯაში ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდა და შეეცადა, მაისში ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარდაჭერისთვის დაეყოლიებინა. შეგახსენებთ, რომ ფიფას ამჟამინდელი თავკაცის ერთადერთი კონკურენტი აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ისა ჰაიატუა.

**იტალიური „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ ინგლისური „ჩელსის“ მეკარე კარლო კუდიჩინის დაადგა თვალი. „რომა“ ინგლისელებს 4,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს 28 წლის მეკარის სანაცვლოდ, რასაც გაბრიელ ბატისტუტასაც დაუმატებს. ამან „ჩელსის“ თავკაცი კლაუდიო რანიერი კი მოხიბლა, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.**



REUTERS ფოტო

კლინტ მატისმა უცნაური გოლი გაიტანა

## ამხანაგური მატჩი
### აშშ 1:0 მექსიკა

1:0 მატისი (66)

**დენვერში** მეზობლებმა, ამერიკამ და მექსიკამ გაითამაშეს ამხანაგურად და ეს ამბავი მოგეხსენებათ, მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატთან არის დაკავშირებული, ანუ მოსამზადებელი ეტაპია და უპირველესად ამით არის საინტერესო.

თამაში ისე წარიმართა, საჯარიმო მოედნები არც ერთ გუნდს არ აუტალახებია და მეკარეთა შეწუხებასაც ერიდებოდნენ. ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო მომენტი ის გახლდათ, ამერიკელმა კობი ჯონსმა რვა მეტრიდან ხარიხას რომ გაარტყა.

თუ არაფერი ხდებოდა, გოლი როგორღა გავიდაო, იკითხავთ. როგორ და, სრულიად შემთხვევით — მექსიკელთა მეკარე ოსკარ პერესმა და მცველმა მანუელ ვიდრიომ ვერ გაარკვიეს ვის უნდა დარჩენოდა ბურთი და სანამ ესენი ერთმანეთს შესცქეროდნენ, კლინტ მატისი წამოეპარათ და შეაგდო.

აი, სულ ეს იყო.

Copa Toyota Libertadores '2002

ლიბერტადორესის თასი 2002

II ჯგუფი. V ტური

სიენსიანო (პერუ) 2:1 გრემიო (ბრაზილია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 |
| 12 დე ოკტუბრე | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | 9 |
| ორიენტე პერტოლერო | 5 | 2 | 0 | 3 | 10:11 | 6 |
| სიენსიანო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## E ჯგუფი: გერმანია, საუდეთი ირლანდია კამერუნი



ფართობი: 70 280 კმ²
მოსახლეობა: 2 790 000
დედაქალაქი: დუბლინი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1921 წელს
ფიფას წევრი 1923 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
ფედერაციის პრეზიდენტი: მილო კორკორანი
გენერალური მდივანი: ბრენდან პატრიკ მენტონი
სტადიონი: „ლენსდაუნ როუდი" (49 000)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
კაპიტანი: როი კინი
ფორმა: მწვანე მაისურა, თეთრი ტრუსი, მწვანე გეტრები
ტიტულიანი კლუბები: „შელბურნი", „შემროკ როვერსი", „დერი სიტი", „დანდალკი", „სენტ პატრიკზი", „კორკ სიტი", „ლონგფორდ თაუნი", „ბოჰემიანსი"
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 18




## არის ასეთი ქვეყანა

ხშირად წვიმს და ყველგან ბალახი ბიბინებს, ყველგან სიმყუდროვეა, დღელამეში 5 გირვანქად გლეხი გიმასპინძლებთ, სოფლურ კერძებს გაჭმევთ, მერე კი იჯექი კართანაზე, აბოლე ჩიბუხი და უსმინე იმ ტერიერების მხიარულ ყეფას, რომლებიც ჯეკ ლონდონს ძაღლის საუკეთესო ჯიშად უჩანდა — ეს გახლავთ, ბატონებო, ირლანდია, იგივე ზურმუხტის კუნძული, ხოლო ზურმუხტი, მოგეხსენებათ, ფერად მწვანეა.

შოტლანდიელებმა თავიანთი ენა თითქმის დაკარგეს. დღეს სქოთურ ენას და ისიც ბავშვის დასაცაცხანებლად, მანდაურთა მხოლოდ ერთი პროცენტი იყენებს და პრინციპში, ინგლისური ენა ირლანდიელი ხალხის მეტყველებაშიც მყარად ჩაჯდა, მაგრამ ირლანდიას მაინც ორი ოფიციალური ენა უწერია კონსტიტუციაში: ინგლისური, რომელიც ოკუპანტებმა მიიტანეს და ადგილობრივი, სუფთა კელტური — რომის იმპერიის აღზევებამდე ხომ ნახევარი ევროპა ამ ენაზე მეტყველებდა. ირლანდიური, ასე ვთქვათ, ძველი, დიდი ენის ერთერთი ნაშთი გახლავთ. გადაშენება მასაც ელოდა. ანგლოსაქსური მეტყველება მწვანე კუნძულზე უფრო მძლავრი ნაბიჯებით ვიდოდა, ვიდრე რუსული — საქართველოში. იქაური ილია ჭავჭავაძეები უკვე გადასულიყვნენ ინგლისურზე: ჯონათან სვიფტს, ბერნარდ შოუს და მისთანა გონიერთ ვგულისხმობთ და დღესაც, ირლანდიელებს ინგლისური მშობლიურზე არანაკლებ ეხერხებათ, მაგრამ...

აქ მხოლოდ მსუბუქად გავაკრიტიკოთ აქსიომა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს..." ინგლისურად ენამოჩლექის მიუხედავად ირლანდიელებს ეროვნული გრძნობა ნაკვერჩხალივით უღვივით. მაგალითებიც: ჯონ კოლინზი, ირლანდის რესპუბლიკური არმია და სხვა.

**დავით გულუა**



# რატომ იყო ირლანდიური ფეხბურთი დაჩლუნგებული 1986 წლამდე?

**რთული** შეკითხვაა, მაგრამ, ალბათ, პასუხიც მოეძებნება. ირლანდიაში ხომ დიდ პატივშია ეროვნული, ტრადიციული სპორტის სახეობები — გელური ფეხბურთი და ჰარლინგი. პირველი რაგბის წააგავს, მეორე — ბალახის ჰოკეის.

თუმც ფეხბურთმა მაინც დაანგრია ჯებირები, როცა 80-იანი წლების დასაწყისში ევროპაში რამდენიმე ირლანდიელმა ფეხბურთელმა გაითქვა სახელი. სტივ პეიკის, მარკ ლაურენსენის და ფრენკ სტაპლეტონის გვარ-სახელები თუ ბევრისთვის უცხოა, ლაიამ ბრეიდი ყველას ახსოვს. ეს უნიჭიერესი გამთამაშებელი ერთხანს მილანის „ინტერის" მრეტის ძალა იყო ალესანდრო ალტობელისთან და კარლ-ჰაინც რუმენიგესთან ერთად.

ირლანდიური ფეხბურთის წარმატებებს კი საფუძველი 1986 წელს ჩაეყარა, რაც ეროვნული გუნდი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ჯეკ ჩარლტონს ჩააბარეს.

თევზაობაზე ავადმყოფურად შეყვარებული ჯეკი მალე ირლანდიელთა უსაყვარლესი ინგლისელი გახდა. მისმა ეფექტურმა სელექციამ და მოთამაშეთა შერჩევამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ირლანდიის ნაკრები პირველად მოხვდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თანაც მაშინ ოდენ რვა გუნდი მონაწილეობდა ტურნირში. ირლანდიამ საბჭოთა კავშირთან ფრე (1:1) გაახერხა, ჰოლანდიასთან ვიმ კიფტის თავურით სასწაულებრივად დაბზრიალებული ბურთი გაუშვა და წააგო (0:1), მაგრამ დიდი ისტორიული ამბის შემქმნელიც გახდა — რონი ველანის კინკილათი ინგლისი დასცა. მაშინდელი გუნდის ბირთვს პატრიკ ბონერი („სელტიკი"), კევინ მორანი, პოლ მაკგრატი (ორივე „მანჩესტერი"), რონი ველანი და ჯონ ოლდრიჯი (ორივე „ლივერპული") წარმოადგენდნენ.

ორი წლის შემდეგ კი ჯეკი ჩარლტონის ირლანდიამ პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იტალიაში. შესარჩევ ციკლში ყაჩაღობისას კი შინ ესპანეთი მსუბუქად შემოელახათ 1:0.

იტალიაში პირველი მატჩი ჯეკი ჩარლტონის გუნდს ინგლისთან მოუწია. გარი ლინეკერმა მე-8 წუთზე გაუტანა ბონერს, მაგრამ ევერტონელმა კევინ შეტმა 73-ეზე გაათანაბრა და საბოლოოდ მშვიდობამ გაიმარჯვა. ირლანდიელები ეგვიპტესთან და ჰოლანდიასთანაც ფრეებს გამორჩნენ და გააღწიეს მერვედფინალში.

გეორგე ჰაჯის, გეორგე პოპესკუს და ფლორიან რადუჩოუს რუმინეთმა ვერაფერი მოუხერხა ირლანდიას. უგოლო ფრეს პენალტების სერია მოჰყვა, რაშიც ჩარლტონის ბიჭებმა ივარგეს.

პირველივე მუნდიალი და მეოთხედფინალში გასვლა — უკვე ფანტასტიური შედეგი იყო ირლანდიისთვის. იქ მათ მასპინძლები, იტალიელები ელოდნენ, რომლებიც ტოტო სკილაჩის ერთადერთი გოლით გავიდნენ ნახევარფინალში.

რევანშის ჯერი მომდევნო მუნდიალზე, ამერიკაში დადგა, სადაც ირლანდია და იტალია ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ჩარლტონის გუნდმა რეი ჰავტონის გოლით 1:0 მოუგო „სკუადრა აძურას", მერე მექსიკასთან 1:2 დამარცხდა, ნორვეგიასთან ფრეს (0:0) გამორჩა, მერვედფინალში ჰოლანდიას გადაეყარა და 0:2 მარცხის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

ჯეკი ჩარლტონის ეპოქა ორი წლის შემდეგ დასრულდა, როცა გუნდი ევრო 96-ის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა. ირლანდიის გადაბერებულ ნაკრებს იგივე ჰოლანდიამ არ მისცა ამის საშუალება პლეი ოფში.

ჩარლტონის ათწლიან მოღვაწეობას მიკ მაკარტის ხანა მოჰყვა. ეს იორკშირელი ირლანდიელი გუნდის გაახალგაზრდავებას, უფრო სწორად, ახალი გუნდის ჩამოყალიბებას შეუდგა და ამასობაში ვერც საფრანგეთი 98-ზე მოხვდა და ვერც ევრო 2000-ზე.

ახლა კი მიკ მაკარტის დიდად ემადლიერებიან, მუნდიალის დამთავრების შემდეგაც ის უხელმძღვანელებს გუნდს. ისიც უნდა ითქვას, რომ ირლანდიაში პროფესიული საფეხბურთო ლიგა არ არსებობს, ეროვნული ჩემპიონატი, ფაქტობრივად, მოყვარულთა შორის ტარდება და ნაკრებში, ცხადია, ლეგიონერები თამაშობენ.

პირველი კაცი გუნდში, რა თქმა უნდა, როი კინია, რომელსაც მანჩესტერში „კინო" შეარქვეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" 30 წლის ხერხემალი ირლანდიის ნაკრებში 1991 წლიდან გამოდის და მასზე რაიმე ახლის თქმა, ალბათ, უხერხულიცაა.

ნაკრების წამყვან მოთამაშედ ითვლება 27 წლის შემტევი ნახევარმცველი მეტ ჰოლანდი. ის ინგლისში დაბადებულ-გაზრდილია და პრემიერლიგის „იფსვიჩშიც" ბურთაობს, ხოლო ირლანდიის ეროვნულ გუნდში თამაშის პატივი იმითღა ერგო, რომ ბებიამისი ირლანდიელი გახლავთ.

შაბლონურად რომ ვთქვათ, ირლანდიის იმედი 21 წლის ფორვარდი რობი კინია. „ლიდსის" ეს მართლაც ძალიან ნიჭიერი შემტევი ოთხი წლის წინ „ვულვერჰემპტონში" თამაშით გახდა ცნობილი. მერე ერთხანს „ქოვენტრიში" და თვით მილანის „ინტერშიც" მოსინჯა ძალა, თუმც იტალიური ორომტრიალისთვის მზად არ აღმოჩნდა.

**დავით თაგართქილაძე**



1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია — იტალია 1:0. ირლანდიელებმა როი კინმა და სტივ სტონტონმა (№11) მეგოლე რეი ჰავტონი სიხარულისგან ლამის გაგუდეს

## ოპტიმალური შემადგენლობა




## განრიგი

**1 ივნისი**
ნიიგატა (იაპონია). 10.30 საათი
„ნიიგატა სტადიუმ ბიგ სვანი"
ირლანდია – კამერუნი

**5 ივნისი**
იბარაკი (იაპონია). 15.30 საათი
„კაშიმა სოკერ სტადიუმი"
ირლანდია – გერმანია

**11 ივნისი**
იოკოჰამა (იაპონია). 15.30 საათი
„იოკოჰამა მუნჰაკ სტადიუმი"
ირლანდია – საუდეთი

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**I შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი**

02.09.00
ჰოლანდია 2:2 ირლანდია
07.10.00
პორტუგალია 1:1 ირლანდია
11.10.00
ირლანდია 2:0 ესტონეთი
24.03. 01
კვიპროსი 0:4 ირლანდია
28.03.01
ანდორა 0:3 ირლანდია
25.04.01
ირლანდია 3:1 ანდორა
02.06.01
ირლანდია 1:1 პორტუგალია
06.06.01
ესტონეთი 0:2 ირლანდია
01.09.01
ირლანდია 1:0 ჰოლანდია
06.10.01
ირლანდია 4:0 კვიპროსი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 3 | 0 | 33:7 | 24 |
| ირლანდია | 10 | 7 | 3 | 0 | 23:5 | 24 |
| ჰოლანდია | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ესტონეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:26 | 8 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:31 | 8 |
| ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 5:36 | 0 |

**II ეტაპი. პლეი ოფი**

10.11.01
ირლანდია 2:0 ირანი
15.11.01
ირანი 1:0 ირლანდია

## ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატის
მეოთხედფინალისტი (1): 1990
მერვედფინალისტი (1): 1994

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| № | დრო | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ტირაჟი N76** | | | | | | |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. 30-ე ტური** | | | | | | |
| | | **06.04.02** | | | | | | |
| 1 | 18:30 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 2 | 18:30 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 3 | 18:30 | ბაიერნი-ვერდერი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1,0 | 1,1 | 2,8 |
| 4 | 18:30 | ბაიერნი-ვერდერი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 5 | 18:30 | შალკე-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,0 | 1,1 | 2,6 |
| 6 | 18:30 | შალკე-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 7 | 18:30 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1,0 | 1,0 | 4,0 |
| 8 | 18:30 | ლევერკუზენი-კიოლნი 0:1 | 1,3 | 3,6 | 4,0 | | | |
| 9 | 18:30 | სტ.პაული-კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 10 | 18:30 | კოტბუსი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| | | **07.04.02** | | | | | | |
| 11 | 20:30 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,0 | 1,15 | 2,45 |
| 12 | 20:30 | დორტმუნდი-მიუნხენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 13 | 20:30 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| | | **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა. 30-ე ტური** | | | | | | |
| | | **05.04.02** | | | | | | |
| 14 | 22:00 | შვაინფურტი-ობერჰაუზენი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 15 | 22:00 | ზაარბრიუკენი-ჰანოვერი | 5,0 | 3,6 | 1,5 | 2,05 | 1,1 | 1,05 |
| 16 | 22:00 | უნიონი-კარლსრუე | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,0 | 1,2 | 2,3 |
| 17 | 22:00 | უნიონი-კარლსრუე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **06.04.02** | | | | | | |
| 18 | 18:00 | ფიურტი-ალემანია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,0 | 1,1 | 2,6 |
| 19 | 18:00 | ფიურტი-ალემანია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20 | 18:00 | ვალდჰოფი-ალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **07.04.02** | | | | | | |
| 21 | 18:00 | დუისბურგი-უნტერჰახინგი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 22 | 18:00 | როიტლინგენი-ბაბელსბერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1,0 | 1,1 | 2,6 |
| 23 | 18:00 | როიტლინგენი-ბაბელსბერგი | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24 | 18:00 | არმინია-ბოხუმი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,1 | 1,2 | 1,6 |
| | | **08.04.02** | | | | | | |
| 25 | 23:15 | აინტრახტი-მაინცი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ). 28-ე ტური** | | | | | | |
| | | **05.04.02** | | | | | | |
| 26 | 22:30 | ოსნაბრიუკი-მაგდებურგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **06.04.02** | | | | | | |
| 27 | 17:00 | ფორტუნა-აუე | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 28 | 17:00 | პადერბორნი-ბრაუნშვაიგი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 29 | 17:00 | ლიუბეკი-ფერლი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1,0 | 1,1 | 2,8 |
| 30 | 17:00 | ლიუბეკი-ფერლი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 31 | 17:00 | ურდინგენი-ესენი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 32 | 17:00 | ქემნიცი-ლევერკუზენი(მ) | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 33 | 17:00 | დრეზდენი-ვატენშაიდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| | | **07.04.02** | | | | | | |
| 34 | 18:00 | ვერდერი(მ)-კილი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 35 | 18:00 | მიუნსტერი-დიუსელდორფი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
ფედერაციის ლოგოს ავტორმა ქართული ფეხბურთის დიდმოხელენი თავისი ქმნილების დამახინჯებაში და უკანონოდ გამოყენებაში დაადანაშაულა. მოსარჩელემ ამისთვის ფედერაციას 300 ათასი დოლარი მოსთხოვა, ხოლო კიდევ 200 ათასი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად.

ფედერაცია ნახევარ მილიონს როგორ შეელეოდა, ჰოდა, მხარეები სასამართლოში დაეტაკნენ ერთმანეთს. საოლქო სასამართლომ პირველადი მოსმენით მხოლოდ ლოგოს დამახინჯების ფაქტი აღიარა, ხოლო უკანონო გამოყენებისთვის ემირ ბურჯანაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, ფედერაციას მხოლოდ 5 ათასი ლარი საურავი დაეკისრა და თითქოს ამით დამთავრდა ყველაფერი.

მაგრამ გუშინ სასამართლოს აღმსრულებლები ეწვივნენ ფედერაციას და რასაც ფედერაციის ლოგო აკრავს, ყველაფრის დალუქვა დაიწყეს — ავტობუსი, მიკროავტობუსი, სათამაშო ფორმები, ბლანკები და ასე შემდეგ. ფედერაციაში ხუმრობდნენ კიდეც, კარებიდან ემბლემები მოაშორეთ, თორემ ოთახებში არც შეგვიშვებენო.

გუშინ ქართული ფეხბურთის დროებით თავშესაფარში უამრავი იურიდიული ტერმინი დახვავდა, რომელთა უმრავლესობისა იქ შეკრებილებმა ვერაფერი გავიგეთ.

იმას კი მივხვდით, რომ ფედერაცია ლოგოს დამახინჯების ფაქტს აღიარებს, თუმც ამასაც უნებლიე შეცდომას უწოდებს, „ლოტოს“ ფირმის მაისურებზე ტექნიკურად შეუძლებელი შეიქნა ძველი ლოგოს ამოქარგვა, ამიტომ მრგვალი მოყვანილობის ასოები უცხოურმა ფირმამ სწორკუთხოვანით შეცვალაო.

ფედერაცია უზენაეს სასამართლოში კასაციას აპირებს. მანამდე თუ პრობლემის მოგვარება შეძლეს, ხომ კარგი, არადა, ყველა პროექტი მაინც განხორციელდება, ოღონდ ფედერაციის ლოგოს თავიდან მოვიცილებთო.

ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია აცხადებს, რომ ლოგო არავის მოსდის თვალში, მაგრამ ნოდარ ახალკაცის ხსოვნის პატივსაცემად შემოგვრჩა და არ შევცვალეთო. სამწუხაროდ, თუ ასე გაგრძელდა, მისი შეცვლა მოგვიწევსო.

მერაბ ჟორდანიამ გაგვიმხილა, ემირ ბურჯანაძის წარმომადგენლებმა გარიგება შემომთავაზეს, მე არ დავთანხმდი და საქმე სასამართლომდე ამადაც მივიდაო. მოკლედ, სასამართლო კიდევ გაგრძელდება.

**მამუკა ძვანტალიანი**

# კალათბურთი

## სლოვენია

# სლოვანის მშვიდი

## უგრეხელიძე 7, ტულუში 7



კოტე ტულუში

გურამ [illegible] ფოტო

**სლოვენიაში** ბოლო ოთხ დღეში ორი ტური მოილიეს და ამჯერადაც არ მომხდარა მოულოდნელობა. უქმეებზეც და ოთხშაბათსაც ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა, მაგრამ გამონაკლისიც იყო.

ვინაიდან ტურნირი იმისაა, ყველა ყველას უნდა შეხვდეს, ცხადია, ის დღეც დადგებოდა, ოთხ მოწინავეთაგან ორი ერთურთს რომ დაეჯახებოდა, ასეთი კი ბოლო, მე-3 ტური გახლდათ, რომელშიც ბობოლათაგან უბობოლესი „ოლიმპია" ლაშკოში უნდა ჩასულიყო და იქაურ „პივოვარნას" შერკინებოდა. მაგრამ ისე რა ვუთხარი ლუდისმხდელთ, რაც ეს მატჩი რკენად არ გამოდგა, რადგან ვლადიმერ ბოისას გუნდმა იოლად სძლია მასპინძლებს, თუმც პირველ ნახევარში ოდნავ თუ ჯობდა. თავად ვოვა ამჯერად სათადარიგოდ დარჩა. ჩვენთვის უფრო საინტერესო „ოლიმპიას" მეორე ტურის მატჩი იყო, როცა კემოპლასტელთა რბევაში ქართველმაც დაიდო წილი. სტუმრებს ბოისამ 10 ქულა უთავაზა და ზმაგო საგადინის სამწვრთნელოდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ახლა კი მეტქართველიან მატჩზე გადავიდეთ და „სლოვანისა" ვთქვათ. ზემოთაც მოგახსენეთ, ამ დღეებში ორი ტური ჩატარდა და სანამ ლიუბლიანელები „ჰელიოსს" ისტუმრებდნენ, ზაგორიეში ჩავიდნენ, სადაც, მთიელების ამბავი ხომ იცით, დიდი ბრძოლა გადაიტანეს. ამ მატჩამდე დავით უგრეხელიძემ გვითხრა, კოტე ტულუშმა ტრავმა მოიშუშა და ითამაშებსო, მაგრამ ბოლო სიტყვა მწვრთნელ მირო ალილოვიჩზე იყო და მანაც კოტე ერთხელაც დაასვენა. უგრეხელიძე თავიდანვე გავიდა ფიცარნაგზე და იქ საერთო ჯამში 20 წუთი დაჰყო. მისი 6 ქულა ისე თვალისმომჭრელი არაა, როგორც ფარზე ნალვაწი. დედაქალაქელებმა მეტოქე მესამე მეოთხედში მოდრიკეს, რომლის ბოლოსაც 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, თუმც ბოლო მეოთხედში რომ არ ეყოჩაღათ, მთიანეთიდან მარცხით გაბრუნდებოდნენ.

ოთხშაბათს კი ალილოვიჩმა ორი თვის უთამაშებელი ტულუში ალალად შეუშვა მოედანზე და ჩვენებურმაც თავისი თქვა. გუშინ კოტეს ლიუბლიანაში შევეხმიანეთ...

— წელის სერიოზული ტრავმა მქონდა და თვენახევარი არც მივარჯიშია. „ჰელიოსთან" მატჩში მწვრთნელმა ბოლო მეოთხედში შემიყვანა. ურიგოდ არ მითამაშია, 7 ქულა ჩავაგდე და დაცვაშიც ვიბეჯითე. მთავარია, რომ ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და ფორმაც ავიღგინე. რაც შეეხება მატჩს, იოლად გავიმარჯვეთ, უკვე პირველ ათწუთეულში 10 ქულით დავწინაურდით. უგრეხელიძე მცირე შესვენების შემდეგ შევიდა მოედანზე, წინა მატჩის მსგავსად ამჯერადაც 20 წუთი ითამაშა და ჩემსავით 7 ქულა ჩააგდო. ისე, მეორე ნახევარში გაგვიჭირდა, მეტოქე 4 ქულით მოგვიახლოვდა და ალილოვიჩმა ორივე ცენტრი, უგრეხელიძეცა და ჰიკიც, ერთად ათამაშა. დათოს 4 ნომერზე მოუწია გარჯა. ბოლოს „ჰელიოსი" გავაპარტახეთ, ათწუთეული 35:15 მოვუგეთ და დიდი ანგარიშითაც გავიმარჯვეთ.

**ირაკლი ბერტაია**

**II ტური**

**ჰელიოსი — კრკა 86:89, სავინსკი ჰოპსი — პივოვარნა 88:100**

**ოლიმპია 87:66 კემოპლასტი**

**ოლიმპია:** გოლემაცი (28), პუკიჩი (13), ველში (11), **ბოისა (10)**, ზდოვცი (10), ავოჯობი (6), ტორომანი (4), დალი (2), უდრიჰი (2), მოდრიჰი (1)

**ზაგორიე 75:79 სლოვანი**

**სლოვანი:** იევტოვიჩი (5), უდრიჰი (27), კოვაჩი (13), **უგრეხელიძე (4)**, სლოკარი (15), ჰიკი (8), ზაგორაცი (7)

**III ტური**

**კრკა — სავინსკი ჰოპსი 106:76, კემოპლასტი — ზაგორიე 114:96**

**პივოვარნა 67:83 ოლიმპია**

ბოისა სათადარიგო იყო

**სლოვანი 97:72 ჰელიოსი**

**სლოვანი:** ოზბოლტი (21), უდრიჰი (18), ჰიკი (11), ფრიერსონი (10), **უგრეხელიძე (7), ტულუში (7)**, ჟაკელი (7), იევტროვიჩი (6), ზაგორაცი (6), სლოკარი (2), ჟუპანი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 3 | 3 | 0 | 275:204 | 6 |
| კრკა | 3 | 3 | 0 | 297:249 | 6 |
| სლოვანი | 3 | 3 | 0 | 274:234 | 6 |
| პივოვარნა | 3 | 2 | 1 | 264:247 | 5 |
| კომოპლასტი | 3 | 1 | 2 | 262:281 | 4 |
| ზაგორიე | 3 | 0 | 3 | 258:295 | 3 |
| ჰელიოსი | 3 | 0 | 3 | 234:283 | 3 |
| სავინსკი | 3 | 0 | 3 | 240:311 | 3 |

# ბოისას ოლიმპია მთავრობას ცუდად ეთამაშება

**საგადასახადო** სამსახურისა და ურჩ გადამხდელთა კატათაგვობანა მარტო საქართველოს სენი არაა. ჯერ არ გვსმენია, სლოვენიელი საქმოსნები როგორ იხდიან, თუმც მათი სასიქადულო საკალათბურთო კლუბის მთავრობასთან ურჩობის ამბავი კი შევიტყვეთ.

ლიუბლიანის „ოლიმპია" ის გუნდია, ნისიაზე აუარება სერვისით რომ უსარგებლია და მილიონი ევრო ვალი დასდებია. ეს ვალები ევროპის საჰაერო გზებზე ფრენით, სტუმარი გუნდების მილება-დაბინავების, მათი კვებისა და სხვა ათასგვარი წვრილმან-მსხვილმანი გასავლებლებით დაგროვებულა. ამის თაობაზე აურზაური სლოვენიაში შარშან ატყდა და მაშინ წლის ბოლომდე მისცეს კლუბს ვალების დაფარვის ვადა, მაგრამ „ოლიმპიამ", ცხადია, ვერ გადაიხადა და იმიტომაც გვიწევს ამ წერილის წერა. მაშინ მთავრობა, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდს ყველა კონტრაქტის გაუქმებითა და სახსრების გაყინვით დაემუქრა, პრესაში ატეხილმა დავიდარაბამ დააშოშმინა. მედიამ მხარი დაუჭირა ზმაგო საგადინის გუნდს და მთავრობამაც რამდენიმე თვით სანქციებზე უარი თქვა.

ახლა კი ის დროც იწურება და „ოლიმპიას" გადასახდელი თანხა კვლავაც არ მოეპოვება. გუნდის მენეჯერი რადო ლორბეკი კი მაინც იმედიანადაა და აცხადებს, რომ მართალია, ფული ახლა არა აქვთ, მაგრამ საგადასახადო ბიუროსთან მალე მოაგვარებს ფინანსურ პრობლემებს. თუ რა თანხებით მოხდება ეს, ლორბეკი არ აკონკრეტებს.

თავის მხრივ კი მთავრობა კვლავ იმუქრება და პირველ რიგში „ოლიმპიას" ULEB-თან გაფორმებულ კონტრაქტს უმიზნებს, რომლის თანახმადაც ზმაგო საგადინის გუნდს მომავალი ორი წელი ევროლიგაში თამაში გარანტირებული აქვს... ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ალალად მომღიმარ ჯამალ მაშბურნს „მაიამი" შემოეჭამა

# ვისი ხელით...

## ლახვარმა მაშბურნმა რაილის ალალად ჩასცა

**3 აპრილი**

**შარლოტი 97:90 მაიამი**

**შარლოტი:** დევისი (22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ვესლი (16), მაშბურნი (22), ბრაუნი (15 ქულა, 13 მოხსნა), მაგლუა (18); ოგმონი (4), კემპბელი, ლინჩი

**მაიამი:** სტრიკლენდი (8), ჯონსი (27), გილი (8), გრანტი (12), მურნინგი (14); პაუსი (12), **სტეფანია (19 წუთი, 5 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება)**, გეტლინგი (4), ელისი, კარტერი.

პატ რაილის იმდენი შავი და ცოტა თეთრი ბიჭებისთვის უსწავლებია ნამდვილი კალათბურთი, ვეჭვობთ, ზოგი მათგანი თუნდ სახეზე ახსოვდეს. ყველაზე გამორჩეულებს, ცხადია, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაივიწყებს და მართალია, ჯამალ მაშბურნი ასეთი არაა, რაილის მეხსიერება ამ ჯეელის სახე-სახელსაც სამუდამოდ შეინახავს.

რაილიმ ამ ორი წლის წინ მაშბურნი (და სხვები) „შარლოტს" ედი ჯონსსა და სხვებში გაუცვალა. მას აქეთ ჯამალი „მაიამის" „სისხლის მსმელია" — სადაც დაიჭერს, იქ კლავს. შარშანდელი პლეი ოფის პირველ წრეში მაშბურნმა ახალ გუნდს 3:0 გაანადგურებინა ძველი და „მაიამის" საქმეებიც აქედან აეწეწა. ჩავარდნილ პლეი ოფს ჩავარდნილი რეგულარული და საერთოდ უპლეიოფო სეზონი მოჰყვა. 20-წლიან სამწვრთნელო კარიერაში რაილი პირველად ამთავრებს სეზონს ასე ნაადრევად. „შარლოტთან" გუშინწინდელი მარცხის შემდეგ მისმა გუნდმა ყველა თამაშიც რომ მოიგოს, სეზონს მაინც უარყოფითი ბალანსით დაასრულებს.

ჯამალ მაშბურნმა ამჯერადაც ააწიოკა ყოფილი თავისიანები, თავის წილ 22 ქულა უთავაზა და თუმც ნამატჩევს შეეცადა, „მაიამის" მიმართ თავისი სიძულვილი დაეფარა, არაფერი გამოუვიდა. მისი ანთებულ თვალებს ქანდარაზე მსხდომნიც ხედავდნენ, თან თანაგუნდელებმაც „გასცეს". „ყოველთვის, როდესაც მაგათ ვეთამაშებით, ჯამალი საოცრად კონცენტრირებულია. როდესაც ის „მაიამის" პირისპირ დგას, მუდამ მზადაა, სანოკაუტე მუშტი ჩასცხოს ამ გუნდს" — თქვა ნამატჩევს „შარლოტის" გამთამაშებელმა ბაირონ დევისმა, რომელმაც, სხვათა შორის, არანაკლებ „უბაგუნა" „ჰითს".

თავად მაშბურნი ყველასთვის გასაგონად ამბობს — „ძალიან მინდოდა გამარჯვება, ოღონდ ნუ ჩათვლით, რომ ვინმეს ვემტერები, უბრალოდ, ჩემს გუნდს ახლა მოგებები სჭირდება".

გამარჯვება ვის არ სჭირდება, ცხადია, ამ ყველას შორის „მაიამისაც", მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად. პატ რაილი თითქოს გულს არ იტეხს, ამბობს, სანამ თუნდაც მცირე შანსი გვაქვს, ვიბრძოლებთო, მაგრამ ეს პრესის ასაკენკი სიტყვებია. რაილის მრავალგზის ნაქები რაზმი ბოლო ხანებში ბრძოლისუნარიანობით არ გამოირჩევა, ბოლო ცხრა მატჩში მეშვიდედ წააგო.

**ნიუ ჯერსი 94:92 ლეიკერსი**

**ნიუ ჯერსი:** კიტლზი (19), მარტინი (18)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (33), ფიშერი (14)

**მილუოკი 105:90 ვაშინგტონი**

**მილუოკი:** რობინსონი (38), კასელი (19)
**ვაშინგტონი:** ალექსანდერი (22)

**ფილადელფია 89:83 ფინიქსი**

ძირითადი დრო 75:75

**ფილადელფია:** მაკი (22), მუტომბო (16)
**ფინიქსი:** მარბერი (27), ცაკალიდისი (17)

**სან ანტონიო 90:88 სიეტლი**

**სან ანტონიო:** დანკანი (30 ქულა, 18 მოხსნა, 9 პასი), რობინსონი (30), სმიტი (19)
**სიეტლი:** პეიტონი (24)

**იუტა 99:87 კლიპერსი**

**იუტა:** მელოუნი (24), კირილენკო (17)
**კლიპერსი:** ბრენდი (24 ქულა, 11 მოხსნა)

**დეტროიტი 86:107 საკრამენტო**

**დეტროიტი:** უილიამსონი (18)
**საკრამენტო:** ვებერი (28), დივაცი (15)

**მინესოტა 92:81 მემფისი**

**მინესოტა:** ბილაპსი (26 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), გარნეტი (18 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი)
**მემფისი:** გასოლი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ტორონტო 117:104 ჩიკაგო**

**ტორონტო:** პეტერსონი (26), დევისი (25)
**ჩიკაგო:** როუზი (30), ჩანდლერი (16)

უშაკილონილო „ლეიკერსი" ნიუ იორკის პერიფერია ისტ რეზერფორდში იქაურ „ნიუ ჯერსისთან" დამარცხდა. ზეშაკის გულშემატკივრებს დავამშვიდებთ, მას დიდი ხიფათი არ შემთხვევია, რომელიღაც თითი იღრძო და წესით, საპლეიოფოდ სრულ სვლაზე უნდა იყოს.

ამასობაში კი, შაკის არყოფნაში „ნიუ ჯერსი" გამოხტა და ძირითადად კობი ბრაიანტის იმედად დარჩენილ „ლეიკერსს" 1994 წლის შემდეგ შინ პირველად მოუგო. ჯერსელმა „ბადეებმა" თავიდანვე სასტიკად შეუტიეს და უკვე მეორე მეოთხედში 19 ქულით ჩამოიტოვეს ჩემპიონები. მართალია, მერე იმდენი მოახერხეს, ბოლო მეოთხედში რვა ქულითაც ჩამორჩნენ მეტოქეს, მაგრამ დროულად გამოფხიზლდნენ და დაღლილ „ლეიკერსს" ბოლო წუთებზე წაართვეს გამარჯვება.

„ლეიკერსისა" არ იყოს, მეორე ბობოლამ „საკრამენტომაც" ულიდერკაცოდ გადმოიარა ქვეყნის დედამდინარე მისისიპი და აქეთა მიწის ერთ-ერთ თავმომწონე გუნდ „დეტროიტსაც" წაეჯახა. მაგრამ თუ ჩემპიონები უშაკობამ ამარცხა, პრედრაგ სტოიაკოვიჩის გარეშე მობურთალმა „საკრამენტომ" იუგოსლავის გარეშეც მოარბია „დეტროიტის" კედელა დაცვა. დეტროიტელები სულ პანტაპუნტით მიმოყარა თავად დეტროიტელმა, ოღონდ ამ ქალაქის გუნდ „პისტონზში" ცხოვრებაში არნაბურთალმა კრის ვებერმა.

ფიცხელ ბრძოლას უმასპინძლა ისტორიულ წარსულში აშშ — მექსიკის სასაზღვრო ფორტმა, აწ კი ტიმ დანკანის მადმერთებელმა მილიონიანმა ქალაქმა სან ანტონიომ. ადგილობრივი „სპურზი" დანკანის ფართო მხარბეჭის იმედზე შეება დანკანზე პატარა, მაგრამ ცქვიტ ბიჭებზე დაყრდნობილ „სიეტლს". სიეტლელმა თითქმის ვეტერანმა სუპერგამთამაშებელმა გერი პეიტონმა ოთხი მეოთხედის განმავლობაში სისხლი გაუშრო მრავალნიჭიერ, მაგრამ ჯერ მხოლოდ 19 წლის ინგლისურგვარიან ფრანგ ახალბედა ტონი პარკერს. ფრანგმა მთელი თამაში იწვალა, ხუთჯერ ესროლა ბურთი „სიეტლის" კალათს, მაგრამ ცხვირწინ პეიტონის ხელებაფარებულმა ყველა ააცილა. თუმც კი გადამწყვეტი სიტყვა მაინც მან თქვა, მატჩის დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე 88:88 ანგარიშზე ხუთიოდ მეტრიდან იმ თამაშში თავისი პირველი და უკანასკნელი ბურთი ჩააგდო და პეიტონს გარჯა ალამომღინარეში გადაუყარა.

**ირაკლი ფირცხალავა**



**ცუდი** ამბავი მოვიდა შტატების დედაქალაქ ვაშინგტონიდან. მაიკლ ჯორდანმა განაცხადა, რომ ის ამ სეზონში აღარ ითამაშებს.

# ჯორდანი ავად გამხდარა

ჯორდანს სეზონის ბოლომდე დასვენება „ლეიკერსთან" მისი „ვაშინგტონის" 93:113 წაგებიდან ერთი დღის შემდეგ გადაუწყვეტია. იმ შეხვედრაში მან მხოლოდ 12 წუთი იბურთავა და კარიერაში ყველაზე ცოტა, ორქულიანი მონაგარით დატოვა მოედანი. მეორე დღეს დილით მარცხენა მუხლში გაუსაძლის ტკივილს გაუღვიძებია და მაიკლს უთქვამს — „კმარა!"

ჯორდანს მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა მუხლი და ხშირად იძულებული იყო, მოედანზე შესვლამდე და გამოსვლისას ყინულიანი პარკებით დაეცხრო ტკივილი. 27 თებერვალს მან ოპერაციაც გაიკეთა და მაშინ, როდესაც მინიმუმ თვენახევრით დასვენებას ურჩევდნენ, უკვე სამი კვირის შემდეგ, 20 მარტს, მოედანზე გამოჩნდა. იქნებ მცირეხნიანი დასვენების გამოც ვერ გაუძლო მისმა მუხლმა დატვირთვას. „მაიკლმა გააკეთა ყველაფერი, რათა მალე დაბრუნებულიყო და გუნდს საპლეიოფო ბრძოლაში მიშველებოდა. ყველანი ვწუხვართ, რომ მისი თავგამოდება ასე დასრულდა" — თქვა მომხდარით დაზაფრულმა ვეს ანსელდმა, „ვაშინგტონის" გენერალურმა მენეჯერმა.

39 წლის ჯორდანი სეზონს ამთავრებს ნათამაშებ მატჩებში საშუალოდ მოხვეჭილი 22,9 ქულით. ეს მაჩვენებელი მის პროფესიულ კარიერაში უარესია, თუ არ ჩავთვლით მისთვის მეორე, 1985-86 წლების სეზონს, რომელშიც მაიკლმა ასევე ტრავმის გამო მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა. მიუხედავად ამისა, მისი 39 წლის და ტრავმიანი სხეულით საშუალოდ ნახვეჭი 22,9 ქულა საკმარისი აღმოჩნდა ნბა-ს ბომბარდირთა პირველ ათეულში მოსახვედრად. ოპერაციამდე მისი მაჩვენებელი 25 ქულას სცილდებოდა, რითაც მაიკლი მხოლოდ ხუთ კაცს ჩამორჩებოდა.

ჯორდანის ქომაგთა ნაწილობრივ დასამშვიდებლად ვთქვათ, რომ მაიკლი მომავალ სეზონში დაუბრუნდება ბურთსა და მოედანს, ესე იგი, კვლავ გვექნება ამ არათუ კაცის, არამედ უფრო მეტის მოედანზე ხილვის საშუალება.

„ვაშინგტონში" მოსვლისას მე გავაფორმე ორწლიანი კონტრაქტი, რომელსაც, თუ რაღაც საშინელება არ შემემთხვა, შევასრულებ. თქვენ კიდევ იხილავთ მაიკლ ჯორდანს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი მორალი ჩემი სამშობლოა!

## დევისელებმა გულზე მუშტი აიბრაგუნეს

DAVIS CUP BNP PARIBAS

*დღეს და ამ უქმეებზე მსოფლიოს უჩაუქესი ვაჟი მეჩოგნეები ერთმანეთს დევისის თასის მეოთხედფინალში შეეყრებიან. შარშანდელი ჩემპიონი ფრანგები პოში ჩეხებს მიიღებენ და, რამდენადაც უცილოდ უნდა იმარჯვონ, ნახევარფინალში ამერიკელებთან ჩოგნისცემა მოუწევთ. რატომ ამერიკელებთან? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ატლანტისგალმელები მეთიხნარე ესპანელებს ტეხასურ ბალახზე დაუხვდებიან და თან ისეთი კოზირ-კიკოც ეყოლებათ, 13-გზის მესლემტიტულე პიტ სამპრასი რომ გახლავთ. მეორე ნახევარფინალს ალბათ რუსები და არგენტინელები შეადგენენ. პირველები შვედებს მასპინძლობენ და კაფელნიკოვ-საფინის ზეწყვილისა ეიმედებათ, მეორენი კი ამ ბოლო დროს საოცრად წარემატნენ და ვინმე თუ გორან ივანიშევიჩის გარდა მეორე ღირსეულ ხორვატ ვაჟს გაიხსენებს, ერთი კათხაც ალალ მისი! სხვაფრივ კი, წაიკითხეთ და... დასკვნები ყველამ თავად გააკეთოს.*



REUTERS ბუენოს აირესიდან

ხორვატები არგენტინაში: გორან ივანიშევიჩი და ივან ლიუბიჩიჩი

### რუსეთი — შვედეთი

ვინმეს თუ აღარ ახსოვს და ჩვენ შევახსენებთ — რუსებს დევისის თასი არასოდეს მოუგიათ! 90-იანებში ორგზის ფინალში გასულთ იღბალმა თუ ოსტატობამ ორგზისვე ჩოგნები უკუ აყრევინათ და დღეს თუ რამის ეიმედებათ, ეგ ისევ ევგენი კაფელნიკოვისა და მარატ საფინის შეუცილებელი ნიჭიერებისა, ამ უქმეებზე შვედურ ჯანსა და ჯიგართან ჭიდაობა რომ მოუწევს.

„მსოფლიოში პირველიც ვყოფილვარ და დიდი სლემის ტურნირებიც მომიგია, მაგრამ დევისის თასი ეგრემც აუსრულებელ ოცნებად დამირჩა — ამბობს ჟენია — სადევისო ბრძოლას მაინც გამორჩეული მუღამი აქვს, აქ მოტივაცია და მორალი უმთავრესი საფუძველია".

კაფელნიკოვი ახლა 28 წლისაა და, ბუნებრივია, ჩოგნის ჩამოკიდებამდე ყელზე საამთასო ჯინჯილების ჩამოკიდებაზე უფრო რომ ფიქრობს.

„შვედებთან თამაშის წინ ყველაფერი იდეალურადაა. კორტიც ისე მოუმზადებიათ, ჩვენ რომ გვინდოდა" — დასძენს საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია პირველობათა ჩემპიონი.

იგი და საფინი შვედებს მარტოკაცებადაც შეერკინებიან და წყვილადაც. შვედთა მაყრიონი ერთეულებს შორის წლევანდელი მეავსტრალიის, ტომას იოჰანსონისა და ტომას ენკვისტის, წყვილებში კი იოჰანსონისა და იონას ბიორკმანის გარჯას ითვალისწინებს.

წილისყრით ძალიან კმაყოფილი ვარო, უთქვამს შვედთა კაპიტან კარლ-ალექს ჰაგესკოგს — იოჰანსონი პირველსავე მატჩში თამაშობს და წყვილებამდე დასვენებასაც მოასწრებსო.

ენკვისტი, ვინაც თებერვალში მესამედ მოიგო მარსელის ტურნირი, დასტურ აცხადებს, რომ შვედები მასპინძლებს საშინელ ომს გაუმართავენ. „მოგების დიდებული შანსი გვაქვს — ამბობს იგი — არა, ისე კი არ გამიგოთ, თითქოს ჩვენი თავი უცილო ფავორიტად მიმაჩნდეს, მაგრამ ჩვენებს მაგათები ადრეც გაულახავთ და იმიტომ!".

მის ამ ქადილს რეალური საფუძველიც მოეძევება — შარშანდელ მეოთხედფინალში, მალმიოში რომ შედგა, შვედებმა რუსებს 4:1 აგემეს. ამჟამინდელ სადევისო რეიტინგში სკანდინავები მეოთხე საფეხურზე დგანან და სლავებს ორი ადგილით აღემატებიან.

ამათ შორის გამარჯვებული არგენტინელებსა და ხორვატებს შორის უმჯობესს დაეჯახება.



REUTERS მოსკოვიდან

რუსებმა კარგი დუეტი შეკრეს: ევგენი კაფელნიკოვი და მარატ საფინი

### არგენტინა — ხორვატია

ხორვატ ჯიგიტებს გაუჩოები ჭერგარეთ და თიხაზე დაუხვდებიან. მასპინძელთა საბოლოო შემადგენლობას მათი კაპიტანი ალეხანდრო გატიკერი გუშინ, გვიანღამ გილერმო კანასის, ხუან იგნასიო ჩელას, გასტონ გაუდიოსა და ლუკას არნოლდის ოთხეულიდან შეარჩევდა.

ხორვატთა ნაკრებს ნიკი პილიჩი წინამძღვრობდა, ხოლო ივან ლიუბიჩიჩის, ზელკო კრაიანისა და ივო კარლოვიჩის ტრიოს ზედ გორან ივანიშევიჩის ქარიზმაც უნდა დართვოდა. ოღონდ, დაერთვოდა თუ არა, ეგ ბოლო მომენტამდე არ გადაწყვეტილიყო — შარშანდელ მეუიმბლდონეს მხრის ტრავმა ჰქონია და ჰა, თუ ზაგრებულ მასაჟკაბინეტებში, ჰა, თუ სპლიტურ საუნებში გაქისვა-დაზელვამ ნაყოფი გამოიღო თუ არა, ეგ არაკაცმა არ იცის. არადა, რომც გამოელო, მხოლოდ საწყვილოდ თუ შეგულდებოდა!

### აშშ — ესპანეთი

ამერიკელთა ყოჩი ამ დაგნარში პიტ სამპრასი იქნება — კაცი, ვისაც ბოლო 14 წლის განმავლობაში 63 ტიტული და 84 მილიონი ლარი (ანუ 42 მილიონი დოლარი) მოუგია!

სადევისო ვნებათაღელვას პიტი მთელი ჯიგრით მიეცა. ამას ლოგიკური ახსნაც ეძებნება — უკვე ორი წელია, პიტი ტურნირებზე მხოლოდ საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობს, ანუ ჩოგანს კი იქნევს, მაგრამ საჯილდოო კოლექციას ველარ იმდიდრებს.

სწორედ მისი ხათრით იყო, ნაკრების კაპიტანმა პატრიკ მაკინროიმ ესპანელებს საჯილდაოდ ჰიუსტონური ბალახის კორტები რომ დაუთქვა. მეთიხნარე ესპანელებს, ალექს კორეჩას, ტომი რიბრედოს, ხუან ბალსელსსა და ალბერტო მარტინს ხომ მწვანე საფარზე ჩოგანი არ გაენძრევინებათ!

სამპრასს, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ბალახზე თავის მე-100 მოგებას მიითვლის, უიმბლდონში იმაზე 9-ჯერ მეტი შეხვედრა მოუგია, ვიდრე მთელ ამ ესპანურ ნაკრებს ერთად.

„ბოლო დროს ველარაფერს ვიგებ, დევისის თასს ამიტომაც შევეკედლე — აღიარებს პიტი — ეს ჯილდო ჩვენ ბოლოს 1995-ში მოვიგეთ, ამიტომაც ახლა ჩვენი დროა... ამ თასს სხვა მუღამი აქვს, სხვა თუ არაფერი, შენი ქვეყნის სახელით ასპარეზობ".

სამპრასის გარდა, ვისაც სადევისო კორტებზე 15 მატჩში უმარჯვია, მაგრამ 7-გზის დამარცხებულა, აშშ-ის ნაკრებში ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეკი და ტოდ მარტინიც შედიან.

ახლა ესპანელებს რაც შეეხებათ.

როგორც ალექს კორეჩა იქადნება, მათ არც ბალახსაფარზე თამაშის პერსპექტივა აკრთობთ და არც 7-გზის მეუიმბლდონე პიტ სამპრასთან დაპირისპირება.

„მნიშვნელობა არა აქვს, ამდენი მოგიგია თუ იმდენი, მთავარი ისაა, მოცემულ მომენტში ვინ როგორ ფორმაშია, ვის როგორი განწყობა აქვს — ამბობს კორეჩა — ისე კი, ბალახი ჩვენი საფარი ნაღდად არ არის და ბოლო დღეები სწორედ მასთან შეგუებას ვცდილობთ".

კორეჩას ხუან ბალსელსისა და ტომი რიბრედოს იმედი ექნება. ნაკრების მეოთხე წევრად ალბერტო მარტინი შეუგულებიათ — ეს უკანასკნელი კი ბისკეინში დაშავებულსა და კორტიდან სამი კვირით ჩამოშორებულ ხუან კარლოს ფერეროს ჩაენაცვლება.

### საფრანგეთი — ჩეხეთი

დევისის თასის შარშანდელი მოხეირენი ჩეხებს პოში, სპორტის სასახლის ხალიჩაზე მოუგებენ. რომ მოუგებენ, ამაში ეჭვი ვინძლო მხოლოდ ჩეხთა კაპიტანს, იან კუკალს ეპარება — აქაოდა, ირჟი ნოვაკს, ბოგდან ულირახს, დავიდ რიკლსა და იან ვაჩეკს თავისი წონიანი სიტყვა ეთქმითო. თუმცა გი ფორჟეს, და ფრანგებს სწორედ ეს სახელიანი კაცი კაპიტნობთ, სებასტიან გროჟანის, ფაბრის სანტოროს, ნიკოლა ესკუდესა და არნო კლემანისა ეიმედება. და ეს არც არავის უკვირს — ამ მეჩოგნეთა საერთო წონა ჩეხებისას დაახლოებით ისევე აღემატება, როგორც ავსტრალიელ მორაგბეთა შერკინებისა ზანზიბარელებისას.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS დუბაიდან

ზურაბ აზმაიფარაშვილს პირველ წრეში შუბლზე ძარღვი არ ასტოკებია

# იყო არაბეთს ჭადრაკი...

## ზოგჯერ ჭკუა ქალსაც მოეკითხება

**თავისუფალი** ეკონომიკური ზონის წყალობით აყვავებულ დუბაიში ფიდე-ს მსოფლიოს თასის 5-დან პირველი ეტაპი დაიწყო. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას მოლონიერება ეტყობა. მრავალი უარყოფითი ხაზუნის მიუხედავად, კირსან ილუმჟინოვმა მსოფლიოს ჩემპიონატებში „ნოკაუტ-სისტემა" მყარად დანერგა და აგერ, ასრულებს პირობასაც, პროფესიონალ მოჭადრაკეებს ცხოვრების სახსარს ვაშოვნინებო.

თასის გათამაშების სქემა რთული არ არის. შეირჩევა 32 მოჭადრაკე: წინა მსოფლიოს ჩემპიონატის 16 საუკეთესო, რეიტინგ-ლისტის 8 მოწინავე, იუნიორთა ჭადრაკის პრინცი, უმაღლესი რეიტინგის მქონე იუნიორი, 2 მასპინძელი და 4 „უაილდ ქარდის" მფლობელი. ეს რაოდენობა განახევრდება უცებ, ნოკაუტ-პრინციპით და 16 დარჩენილი კი ეტაპის ბოლომდე ითამაშებს, მიიღებს ქულებს და ყველაზე მეტის პატრონს წლის ბოლოს „გრან პრი" გადაეცემა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არაბული სამყარო ჭადრაკის ფესვებს უბრუნდება. ამ „გრან პრის" გარდა, ოქტომბერში ვლადიმირ კრამნიკისა და „დიპ ფრიცის" ჰომო-მეტალურ ბრძოლას ბაჰრეინი უმასპინძლებს. აშკარად იგრძნობა, რომ მუსლიმურ აღმოსავლეთში (მათ შორის პოსტჰომეინურ ირანში) ჭადრაკისადმი ინტერესი ღვივდება. დუბაიში, მაგალითად, 5 არაბი თამაშობს: 3 უჩინო მასპინძელი, მოჰამედ ალ მოდიაყი ყატარიდან და მაღრიბელი, უფრო ზუსტად, ტუნისელი სელიმ ბელხოჯა. ალაჰის მიმდევრები ჯერ ვერ აღწევენ ისეთ შედეგებს, როგორსაც 1000 წლის წინ ას სული და სხვა გონიერნი უჩვენებდნენ, მაგრამ ახლა მთავარია მონაწილეობა, მერე კი ვნახოთ...

ნახსენებმა ტუნისელმა ბელხოჯამ, სხვა არაბების დარად, თასზე მოღვაწეობა უკვე განასრულა — ზურაბ აზმაიფარაშვილმა მოუგო. ქართველმა უშფოთველად დაასამარა რეიტინგის 170 პუნქტით უმცროსი არაბის იმედები, ორიდან ერთი პარტია მოუგო და მეორეში ქულა გაუყო.

დროის კონტროლი სწრაფი ჭადრაკისაა. ორმა პარტიამ თუ არ იკმარა, მერე საქმე ბლიცებამდე მიდის, მაგრამ აზმაიფარაშვილმა ბრძოლა მალე დაამთავრა. თეთრებით ქართველმა სოლიდურად განავითარა ფიგურები, არაბი კი ცანცარებდა: ეტლით ღია ვერტიკალზე მეტისმეტი იაქტიურა და პაიკის სანაცვლოდ ხარისხი დათმო. აზმაიფარაშვილმა მირთმეული შეირგო, პოზიცია განამყარა და შავი პაიკების ყლაპვას შეუდგა. მძიმედ დაზარალებული არაბი დაფაზე ნაჩვენებ პოზიციაში 64-ე სვლაზე დანებდა, ხოლო მე-2 პარტიაში რევანში დიდად არ უცდია, 20 სვლაში გააფორმა ყაიმი.



უმთავრესი სენსაცია კი ის იყო, რომ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონმა ვაჟთა გააგდო. ვერა მენჩიკის ხანიდან პოპულარულ თემას, შეუძლია თუ არა ქალს ჭადრაკის კაცივით თამაში, გასაღები ჩენ ჟუმ მოარგო, რომელმაც რუსლან პონომარიოვს მოუგო. თეთრებით ყაიმის შემდეგ მანდილოსანი ვითომ ვაჟკაცს იოლად უნდა მოეგდო მკლავებში, მაგრამ რუსთაველის აფორიზმი ტყუილად როდი დაიწერა...

სიცილიურ დაცვაში ჟუმ იგივე ვარიანტი გაითამაშა, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ალექსანდრა კოსტენიუკის წინააღმდეგ. პონომარიოვმა ლაზიერის ფრთაზე აგრესიულად შეუტია, მაგრამ ჩინელი ერთიმეორეზე ძლიერ სვლებს აკეთებდა და პონომარიოვი პოზიციის მაქსიმალურად გართულებას შეუდგა, ეგებ ქალის ჭკუამ ვერ გაქაჩოს და ხეირი ვნახოო. კაცის ჭკუამ ვერ გაქაჩა, 49-ე სვლაზე ჩადენილი შეცდომით პონომარიოვმა თავი დაიღუპა და ბოლოს ბავშვურად ჩალიჩობდა შავი მეფის დაშამათებისთვის, მაგრამ ამაოდ. 16 რჩეულში ქალი გაერია.

**დავით გულუა**

### პირველი წრე

ჩენ ჟუ (ჩინეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 1,5-0,5; ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 2,5-1,5; ალექსეი დრეევი (რუსეთი) — ძიანჩუან იე (ჩინეთი) 2-0; კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) — პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 1,5-0,5; პეტერ ლეკო (უნგრეთი) — მუჰამედ ალ მოდიაყი (ყატარი) 1,5-0,5; ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — მაქსიმ ნოვიკი (რუსეთი) 1,5-0,5; ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — პეტერ აჩი (უნგრეთი) 1,5-0,5; ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 2-0; ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 3,5-2,5; თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — სალეხ იასიმი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) 1,5-0,5; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) 3-1; ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) — იან ელვესტი (ესტონეთი) 2,5-1,5; ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 3-2; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — მუსა ოტმანი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) 1,5-0,5; ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) — სელიმ ბელხოჯა (ტუნისი) 1,5-0,5; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — მუსა ტალები (არაბთა გაერთიანებული საამიროები) 1,5-0,5

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 6 აპრილი. 15 საათი

## საქართველო — რუმინეთი

თბილისი. ეროვნული სტადიონი

# რუმინელებს პატარა ნაპოლეონი მოუძღვით

## მათი მეორე მწვრთნელი ფრიდრიხ ნიცშეა

*გუშინ შუადღის ორის ნახევარზე რუმინელთა ლაშქარმა მეორედ დადგა ფეხი ქართულ მიწაზე. ახალი სარდლით, ფრანგი ბერნარ შარეირით კი პირველად ჩამოვიდნენ რუმინელები. ახლა ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელოვანია შაბათის მატჩი. ერთს ვიტყვით მხოლოდ — წლევანდელი ქართულ-რუმინული ჯახი ერთბაშად გადაწონის ევროპის ერთა თასის ყველა დანარჩენ მატჩს*



ბერნარ შარეირო

**ორწლიანი** შესვენების შემდეგ რუმინეთის მორაგბეთა ნაკრები კვლავ თბილისშია. კარპატელები ჩარტერით და 45-კაციანი დელეგაციით ესტუმრნენ თბილისს და სასტუმრო „სიმპათიაში" დაბინავდნენ. რუმინელთა მწვრთნელმა ბერნარ შარეირმა მორაგბეებს ურჩია, დამღლელი მგზავრობა იყო და წაუძინეთო. უფრო გამძლეები ფოიეში დარჩნენ და ჭადრაკის თამაშით შეიქციეს თავი. შარეირმა მათ ჟურნალისტებთან საუბარი აუკრძალა, ჩვენ კი გვითხრა, კითხვებზე მე გიპასუხებთ, ოღონდ ძალიან ცოტა დრო მაქვს და საუბარი ახლავე დავიწყოთო. ჩია, ჭაღარა, რესპექტაბელური და მომღიმარი შარეირი ბარში შეგვიძღვა, სავარძელში მოკალათდა, საათს დახედა, მხოლოდ ხუთი წუთიო და სმენად იქცა.

**— როგორია პირველი შთაბეჭდილება, რა იცით ქართული რაგბის შესახებ?**

— აეროპორტიდან სასტუმრომდე ბევრიც ვერაფერი ვნახე. მაგრამ ერთი შეხედვით მომეწონა თბილისი. რაც შეეხება რაგბის, ვიცი, რომ აქ დიდი სამუშაოები ჩატარდა რაგბის გასავითარებლად. სტადიონებზე ბევრი ხალხი დადის და რაგბის ნამდვილი ბუმია.

**— როდესაც რუმინეთის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნეთ, თქვით, რომ თქვენი მიზანი რუმინეთის ნაკრების საქართველოსნაირ ძლიერ გუნდად ქცევა იყო...**

— იცით, რუმინელმა ჟურნალისტებმა ცოტა სხვაგვარად გაიგეს. რუმინეთი ახლაც ძლიერია, ოღონდ გუნდური სულისკვეთება აკლია. საქართველომ დაახლოებით სამი-ოთხი წლით გაგვასწრო. თქვენები თანამედროვედ თამაშობენ. რამდენიმე ძლიერი მორაგბე გყავთ, რომლებიც საფრანგეთის ელიტარულ კლუბებში არიან. მათი თამაში მინახავს და კარგად ვიცნობ, ოღონდ გვარები ვერა და ვერ დავიმახსოვრე. მე ვთქვი, საქართველოს ყველანაირად უნდა დავეწიოთ, როგორც გუნდური თამაშით, ისე ინდივიდუალურად-მეთქი.

**— და როგორ ფიქრობთ, დაეწიეთ საქართველოს?**

— ამას მატჩი გვიჩვენებს, ისე კი, მგონი, არ ჩამოვუვარდებით. სამ ეტაპად დავყოფდი ჩემს სამუშაოს. ნულიდან დავიწყეთ და პირველი ეტაპი უკვე გავიარეთ, ახლა შუაში ვართ, ანუ ძლიერებში. მომავალში საუკეთესოებში უნდა მოვხვდეთ.

**— რუმინელი ჟურნალისტები დიქტატორად მოგიხსენიებენ. მართლა ასეთი მკაცრი ხართ?**

— დიქტატორს მოფერებით მეძახიან. მე პროფესიონალი ვარ და მორაგბეებმა ეს კარგად იციან. მერწმუნეთ, ბიჭებს ვუყვარვარ და პატივს მცემენ, როგორც მე მათ. ვარჯიშზე და თამაშისას ზედისციპლინა უნდა იყოს, ეს ნორმალურია. ასე რომ, დიქტატორული ურთიერთობა არ მაქვს შეგირდებთან, უბრალოდ, მაქსიმუმს ვითხოვ. ისე კი, ძალიანაც მომწონს, პატარა ნაპოლეონი რომ შემარქვეს.

**— ეტყობა, ნიცშეს ფილოსოფიას კარგად იცნობთ, რადგან მორაგბეებს რომ დღიურები დაურიგეთ, იქ ნიცშეს აფორიზმია...**

— დიახ, ნიცშეს ფილოსოფია ჩემს ცნობიერებასთან ახლოსაა. ჩემი შეგირდები მამაცი გულები არიან, კარგადაც აზროვნებენ. ფიზიკურად ხომ არიან და არიან. ერთადერთი, რაშიც მოიკოჭლებენ, ეს გუნდური აზროვნებაა. სწორედ ეს უნდა გამოვასწორო, ამაში კი ნიცშეს ნააზრევი დამეხმარება. თან მე ანგლო-საქსი არ გეგონოთ, ლათინურ-რომანული წარმოშობის ვარ და ხსენებული ფილოსოფია ჩემს სულშია.

**— კლოდ სორელს თუ იცნობთ?**

— სორელი ჩემი მეგობარია, ბეზიეში მეზობლები ვართ.

**— მომავალ მატჩზე რას გვეტყვით?**

— პროგნოზები არ მიყვარს, ძლიერი გაიმარჯვებს.

შარეირი წამოდგა, მოგვიბოდიშა, უნდა დავისვენოო, ჭადრაკნათამაშები მორაგბეებიც წამოშალა და ანიშნა, ნომრებში ადითო. იმედი იმისა, რომ რუმინელთა ნაკრებიდან ვინმეს მოვიხელთებდით, ამოგვეწურა. ზორბა და კუნთმაგარი რუმინელები მხოლოდ ორი წუთით დაეშვნენ სასტუმროს ვესტიბიულში, ბარგი მოიკითხეს და ისევ ნომრებში დანაწილდნენ.



თბილისური დღეები რუმინელებმა ჭადრაკულად დაიწყეს

კლოდ სორელისა არ იყოს, ბერნარ შარეირსაც მკაცრი რეჟიმი დაუწესებია. დაახლოებით ორსაათიანი წაძინების შემდეგ მორაგბეები წამოყარა და სავარჯიშოდ წაიყვანა. თავიდან შარეირის თქმით, რუმინელებს მხოლოდ უნდა ემუნძულათ, ნამგზავრზე მეტი საჭირო არ არისო, ამიტომ ვაკის პარკი შესთავაზეს, მაგრამ მერე „პატარა ნაპალეონმა" აზრი შეიცვალა და შეგირდები ველოტრეკზე გვარიანად დატვირთა.

რუმინელები ტრეკის უსწორმასწორო მოედანს არ შეუშინდნენ, ასეთი ბევრი გვინახავსო და ყოველგვარი წუწუნის გარეშე ვარჯიში დაიწყეს. ჯერ ერთი-ორი წრე ირბინეს, მერე მოითელნენ და მალე ორმხრივი საწვრთნელი თამაშიც გააჩაღეს. სხვათა შორის, ქართველთა დარად, ფრანგული ენა რუმინელებშიც შინაურულია, რაკი თერთმეტი რუმინელი საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს. ჰოდა, იდგა შარეირი მოედნის შუაში და ფრანგულად მოძღვრავდა რუმინელებს. უნდა გენახათ, სასტუმროში ეს მშვიდი და წყნარი კაცი რა ემოციურად და ყვირილით უსწორებდა მორაგბეებს. შარეირმა ძირითადი აქცენტი შერკინებასა და მოედნის შუაგულიდან ჩაკიდებული ბურთის მოგებაზე გადაიტანა. მერე კომბინაციების დამუშავებას შეუდგა და ერთხელაც მაგრად გაბრაზდა, როდესაც ხელქვეითებმა მისი მითითებები ვერ შეასრულეს. ყველაზე მონდომებული რუმინელთა კაპიტანი და ლიდერი პეტრე მიტუ იყო. ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი უკანახაზელი ერთ წამს არ გაჩერებულა და ოფლიც გვარიანად ღვარა. მიტუს გარდა გამოირჩეოდა მეორეხაზელი ტუდორ კონსტანტინი, ვინც თავისიანებში ყველაზე მაღალი და დაკუნთულია. შარეირს ეტყობა, კონსტანტინის დიდად სჯერა, რაკი ყოველი სადავო ეპიზოდისას აზრს ეკითხებოდა.



რუმინელთა ყოჩი გოლიათი ტუდორ კონსტანტინი

ორკარას შემდეგ რუმინელებმა ცოტაც იძუნძულეს, მერე ფიზმომზადების მწვრთნელს ჩაბარდნენ და კუნთებიც დაიზილეს.

ძნელია, ერთი ვარჯიშით იმსჯელო გუნდზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ტექნიკურ-ფიზიკურად ერთობ ძლიერები არიან. ერთადერთი, რაშიც ქართველებმა უნდა ვაჯობოთ, ჟინი, ბრძოლა და ერთსულოვნებაა. ეს იქ მყოფმა სპეციალისტებმაც აღნიშნეს, რომლებიც რუმინელთა სანახავად მოსულიყვნენ.

**ბაჩო სვანიძე**

ცურვა

# ემა წითელ ხაზს ჩამოსცდა

**30 წამი** გახლდათ ის ზღუდე, რომელსაც დიაცი მებრასენი 50 მეტრზე ცურვისას მუდამ ამაოდ ეხლებოდნენ. პირველი, ვინც ეს ბერლინივით მაგარი კედელი გაანგრია, შვედი ემა იგელსტრიომი გამოდგა, რომელმაც მოსკოვში მიმდინარე „მოკლე წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატზე სარეკორდოდ იცურავა.

იგელსტრიომმა სიმბოლურ მიღწევას საფუძველი 14 მარტს ჩაუყარა, როცა გიოტებორგში, შვედეთის ჩემპიონატზე 30,24 წამი უჩვენა. ამჯერად 30 წამიც გაწითლდა — იგელსტრიომის დრო 29,96 გახლდათ.

ამერიკელები მოსკოვში მედლებს მონდომებით ხვეტავენ. ტომ ვილკინსმა იანკურ ყულაბაში ძვირფასი ლითონის მესამე კვერი ჩააგდო, ჰელი კოუპმა მეოთხე მიუმატა. ვილკინსი 400 მეტრზე ყოველი სტილით ცურავდა და სველი გზის ნახევრის ამოწურვისას კანადელ ბრაიან ჯონსზე უკან იყო, მაგრამ მესამე ეტაპი ბრასით გაცურა ღონივრად და როცა ხელების თავისუფალ ფართხუნზე მიდგა საქმე, უპირატესობა არ დაუკარგავს.

მეტ უელშმა ავსტრალია გაამდიდრა ოქროთი. 100 მეტრის მანძილზე იგი ჭერს შეჰყურებდა და გამალებით იქნევდა ღონიერ მკლავებს. კი გაიმარჯვა, მაგრამ მსოფლიოს რეკორდი ვერ დაამყარა.

**დავით გულუა**



REUTERS მიერ გადაღებული

ემა იგელსტრიომი

| ვაჟები |
|---|
| 100 მ ბატერფლაი |
| 1. გოფ ჰიუგილი (ავსტრალია) 50,95 |
| 2. ედამ პაინი (ავსტრალია) 51,27 |
| 3. იგორ მარჩენკო (რუსეთი) 51,41 |
| 100 მ ბრასი |
| 1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) 58,3 |
| 2. კოსუკე კიტაიმა (იაპონია) 59,10 |
| 3. იარნო პილაჯა (ფინეთი) 59,22 |
| 100 მ გულაღმა |
| 1. მეტ უელში (ავსტრალია) 51,26 |
| 2. აარონ პეირსოლი (აშშ) 51,71 |
| 3. პიტერ მარშალი (აშშ) 51,84 |
| 400 მ შერეული |
| 1. ტიმ უილკენსი (აშშ) 4.04,82 |
| 2. ბრაიან ჯონსი (კანადა) 4.06,85 |
| 3. იაკობ კარსტენსენი (დანია) 4.08,92 |
| ქალები |
| 800 მ თავისუფალი |
| 1. ჩენ ჰუა (ჩინეთი) 8.16,34 |
| 2. ირინა უფიმცევა (რუსეთი) 8.21,91 |
| 3. ფლავია რიგამონტი (შვეიცარია) 8.23,38 |
| 100 მ გულაღმა |
| 1. ჰელი კოუპი (აშშ) 59,07 |
| 2. ილონა ჰლავაკოვა (ჩეხეთი) 59,13 |
| 3. დაიანა მაკმანუსი (აშშ) 59,45 |
| 50 მ ბრასი |
| 1. ემა იგელსტრიომი (შვედეთი) 29,96 (მსოფლიოს რეკორდი) |
| 2. ლუო სუენცუანი (ჩინეთი) 30,17 |
| 3. ზო ბეიკერი (დიდი ბრიტანეთი) 30,56 |

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**3 აპრილი**

**დალასი 1:2 სენტ ლუისი** *0:0 1:1 0:0 0:1*
1:0 მაკეი (26), 1:1 ისტვუდი (34), 1:2 დემიტრა (63)

**ვაშინგტონი 4:1 ტამპა** *1:0 2:1 1:0*
1:0 გონჩარი (15), 1:1 რიჩარდსი (21), 2:1 კოტე (25), 3:1 ბონდრა (40), 4:1 ბონდრა (59)

**კაროლინა 2:3 ნიუ ჯერსი** *0:1 2:1 0:1*
0:1 ელიაში (13), 1:1 ონილი (31), 2:1 ი. სვობოდა (35), 2:2 ბრილინი (40), 2:3 ლანგენბრიუნერი (44)

**ბუფალო 1:1 აილენდერსი** *1:0 0:0 0:1 0:0*
1:0 კ. ბრაუნი (20), 1:1 ბეიტსი (54)

**კოლორადო 6:0 ატლანტა** *2:0 3:0 1:0*
1:0 იელი (5), 2:0 ტანგეი (12), 3:0 რაინპრეხტი (30), 4:0 რაინპრეხტი (34), 5:0 დრური (39), 6:0 რაინპრეხტი (53)

**ანაჰაიმი 1:1 დეტროიტი** *0:0 1:1 0:0 0:0*
1:0 ფრიზენი (21), 1:1 რობიტაილი (32)

**ფლორიდა 3:2 პიტსბურგი** *1:1 0:0 2:1*
1:0 დაგენე (3), 1:1 ჰ. იუნსონი (18), 1:2 როუმიფალი (41), 2:2 ვაისი (51), 3:2 ბოდუენი (57)

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 76 | 42 | 5 | 7 | 22 220:183 | 96 |
| ფილადელფია | 76 | 40 | 9 | 3 | 24 223:179 | 92 |
| კაროლინა | 77 | 32 | 14 | 5 | 26 205:210 | 83 |
| ტორონტო | 76 | 39 | 9 | 4 | 24 224:194 | 91 |
| ოტავა | 77 | 38 | 8 | 7 | 24 233:196 | 91 |
| აილენდერსი | 76 | 37 | 8 | 4 | 27 220:209 | 86 |
| ნიუ ჯერსი | 77 | 36 | 9 | 4 | 28 189:179 | 85 |
| ვაშინგტონი | 77 | 34 | 10 | 1 | 32 215:229 | 79 |
| მონრეალი | 76 | 32 | 12 | 3 | 29 191:195 | 79 |
| ბუფალო | 77 | 32 | 10 | 1 | 34 197:189 | 75 |
| რეინჯერსი | 77 | 33 | 4 | 4 | 36 211:241 | 74 |
| პიტსბურგი | 76 | 28 | 7 | 5 | 36 186:223 | 68 |
| ტამპა | 76 | 25 | 10 | 4 | 37 163:201 | 64 |
| ფლორიდა | 76 | 22 | 7 | 5 | 42 166:231 | 56 |
| ატლანტა | 77 | 19 | 8 | 4 | 46 175:273 | 50 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 77 | 51 | 9 | 3 | 14 240:167 | 114 |
| კოლორადო | 77 | 43 | 7 | 1 | 26 201:159 | 94 |
| სან ხოსე | 76 | 40 | 8 | 3 | 25 227:183 | 91 |
| ჩიკაგო | 76 | 39 | 12 | 1 | 24 205:191 | 91 |
| ფინიქსი | 76 | 37 | 9 | 6 | 24 206:191 | 89 |
| სენტ ლუისი | 76 | 38 | 8 | 4 | 26 205:175 | 88 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 36 | 11 | 4 | 25 200:179 | 87 |
| ედმონტონი | 77 | 36 | 12 | 3 | 26 195:172 | 87 |
| ვანკუვერი | 77 | 37 | 7 | 3 | 30 234:200 | 84 |
| დალასი | 76 | 34 | 11 | 5 | 26 202:198 | 84 |
| კალგარი | 76 | 30 | 12 | 3 | 31 189:203 | 75 |
| მინესოტა | 76 | 25 | 11 | 8 | 32 178:213 | 69 |
| ნეშვილი | 77 | 27 | 13 | 0 | 37 184:213 | 67 |
| ანაჰაიმი | 78 | 27 | 8 | 3 | 40 168:193 | 65 |
| კოლუმბუსი | 76 | 20 | 8 | 5 | 43 152:235 | 53 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორჩი გამორჩეულა

თორმეტი წლის უკრაინელი სერგეი კარიაკინი ჭადრაკის ვუნდერკინდადაა შერაცხული. დუბაიში დაწყებულ საჭადრაკო ტურნირზე მისი მეტოქე ბულგარელი ვასელინ ტოპალოვი იყო. უფროსი პატარას მოერია, მაგრამ ნორჩ კარიაკინს ხომ ყველაფერი წინა აქვს.



REUTERS დუბაიდან



REUTERS ტორონტოდან

# ერთი საღამო

ენბიეის ერთი ჩვეულებრივი საღამოს სურათებიც კი საინტერესო და მიმზიდველია. „ტორონტო რეპტორზის" ჯერომ უილიამსი თავის მაჯის სახვევს ჩუქნის პირველ რიგში ჩამომჯდარ პატარა ბიჭს, ბიჭის გვერდით მჯდომი გაღიმებული კაცი კი არც მეტი, არც ნაკლები, კანადის ფინანსთა მინისტრი პოლ მარტინი გახლავთ. „რეპტორზმა" „ჩიკაგო ბულზი" დაამარცხა, 117:104. ოვერტაიმში სძლია ფილადელფიის „სიქსერზმა" „ფინიქს სანზს", 87:83. ფილადელფიელთა ლიდერი ალან აივერსონი არ თამაშობდა, მაგრამ ტრავმირებულ ხელ-ფეხს ისე იქნევდა, რომ მოქანცულ თანაგუნდელებს საბრძოლო შემართებაც კი გაუღვიძა.

# როსი და გეიშა

მოტოციკლების ჭენაობაში „იაპონიის გრან პრის" ჯერი დადგა. ამომავალი მზის ქვეყანაშია ვალენტინო როსიც, რომელიც მამაკაცებთან მოპყრობით განთქმულ გეიშას ეჩალიჩება, ძნელი რბოლა მელის და ეგებ ჯანი შემძინო თუ გამაცალოო. გეიშაც, ვგონებთ, სადღაც ჰპატიჟებს.



REUTERS სუზუკადან



REUTERS ფილადელფიიდან



REUTERS ათენიდან

# ცაცხანის შემდეგ

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბერძნებს დაჰკივლა, ისე უმარილოდ ემზადებით, 2004 წლის ოლიმპიადა უნდა წაგართვათო, რაზეც ელინთა მოდგმამ მეცადინეობის გაათკეცებით მიუგო და შეინარჩუნა ეს ყოვლმხრივ მომგებიანი ღონისძიება. საორგანიზაციო კომიტეტის შეფი, პირმშვენიერი იანა ანგელოპულოსი ბლოკებს ვერ ათრევს, მაგრამ სოკ-ის ინსპექტორს, დენის ორავალდს (მარცხნიდან მეორე) კი წარმატებით აჯერებს, რომ: „ოლ რაიტ!". ამ ადგილასო, მთავარი პრესცენტრი იქნებაო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge